პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 48 (11354)
პარასკევი
27
თებერვალი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საქართველოს ჟურნალისტთა პირველი ყრილობისადმი (1-ლი გვერდი).

ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა ნ. ს. ხრუშჩოვთან (1-ლი გვერდი).

გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა (1-ლი გვერდი).

**1965 წლისათვის მივიღებთ 21.200 ტონა ჩაის ნედლეულს და 310 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს** — ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალდებულებები (1-ლი გვერდი).

მეტი ჩაი — დედა სამშობლოს (მე-2 გვერდი).

დიად შვიდწლედს — ჩვენი კალმის ძალა! — ს. არღუნელი. — რაზე გუგუნებს „ჩვენი საყვირი"; ლ. ბოგუცკაია. — როგორ წარმოებდა ეს საუბარი; ვ. თორდუა. — ისევ ისეთი... (მე-3 გვერდი).

უცხოეთის და ადგილობრივი ინფორმაცია (მე-4 გვერდი).

# საქართველოს ჟურნალისტთა პირველ ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს ჟურნალისტთა პირველ ყრილობას, რომელიც შეიკრიბა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული, თავდადებული შრომის ღირსსახსოვარ დღეებში.

პარტიის პირმშო — საბჭოთა პრესა დაუღალავად იბრძვის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის, თავდადებით ემსახურება მშრომელ მასებს, გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ფიქრებს, აზრებსა და მისწრაფებებს.

ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი ქართული საბჭოთა პრესა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ყველაზე ბასრი, მებრძოლი იდეოლოგიური იარაღია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ფართოდ განვითარდა ქართული საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიად პროგრამას, განუზომლად მაღლდება საბჭოთა პრესის როლი და მნიშვნელობა.

რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, რადიოსა და გამომცემლობების მუშაკების მთავარი და საპატიო ამოცანაა მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ პარტიის XXI ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდისათვის შვიდწლედის გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციისათვის. პრესის მუშაკები მოწოდებული არიან ღრმად ჩასწვდნენ და ყოველმხრივ ასახონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება, მილიონთა კუთვნილებად გახადონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, კომუნისტური შრომის ახალი ფორმები და მის შესანიშნავ ინიციატორთა საქმიანობა.

საბჭოთა ჟურნალისტი თავისი მგზნებარე გულითა და ბასრი კალმით მუდამ უნდა იმყოფებოდეს ცხოვრების შუაგულში, იქ, სადაც ილვწიან და შრომობენ მასები, რათა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ყოველმხრივი ასახვა ჰპოვოს მატერიალური დოვლათის შემქმნელი ადამიანების შემოქმედებითმა შრომამ. ჟურნალისტმა ამასთანავე ულმობლად უნდა ამხილოს ნაკლოვანებანი, ყოველივე ის, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილ წინსვლას.

მხოლოდ მასების დახმარებით, მათზე დაყრდნობით, მუშსოფლკორთა მოძრაობის ფართო განვითარებით შეიძლება უზრუნველვყოთ ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების იდეური დონისა და შინაარსის კიდევ უფრო გაუმჯობესება, პრესის როლის შემდგომი ამაღლება მშრომელთა ფართო მასების აღზრდაში, ხალხთა ურღვევი მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის შექმნა პრესისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის შეუნელებელი ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კოლექტივის დარაზმვა პარტიისა და ხალხის სამსახურისათვის, მასებთან ფართო და მჭიდრო კავშირის განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალ წარმატებებს უსურვებს მუშაობაში რესპუბლიკის ჟურნალისტთა პირველ ყრილობას და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის პრესის მუშაკები, კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწენი, კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა ნ. ს. ხრუშჩოვთან

25 თებერვალს კვლავ გაიმართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან.

ამ შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერის რეზიდენციაში ქალაქგარეთა აგარაკზე მოსკოვთან, გრძელდებოდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

საუბარში საბჭოთა კავშირის მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა.

* * *

26 თებერვალს კრემლში გაიმართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან.

ამ შეხვედრის დროს განგრძობილ იქნა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილვა.

საუბარში საბჭოთა კავშირის მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა.

ინგლისის მხრივ ჰაროლდ მაკმილანთან ერთად საუბარში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი.

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის მეათე წლისთავთან დაკავშირებით ამა წლის 8-13 მაისს გაიმართება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. სესიის მოსაწყობ ადგილად არჩეულია სტოკჰოლმი, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქი, სადაც გამოცხადდა ცნობილი მოწოდება ატომური იარაღის წინააღმდეგ.

**მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო**

მოსკოვი, 1959 წ. 25 თებერვალი

## მეფხნელის კალენდარი

26 თებერვალი

### გ უ შ ი ნ ჭ ი ა თ უ რ ა შ ი

ლენინის სახელობის მაღაროში, რომელიც ჭიათურაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორია, ინერგება კომპლექსური ბრიგადების მუშაობის ახალი მეთოდი. აქ დაწინაურდა მე-3 უბანი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ოთარ კობახიძე ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა დღიური დავალება 112 პროცენტით შეასრულა. მას თებერვალში გეგმის გადამეტებით ამოღებული აქვს 350 ტონა მარგანეცი.

ამ მაღაროს მეექვსე უბანში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის იბრძვის მტვირთავთა ბრიგადა, რომელსაც კალენიკე კაპანაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გუშინ გაანაღდა იანვარ-თებერვლის დავალება და მარგანეცს მარტის ანგარიშში იძლევა. მაღაროს მე-14 უბანში გამოიყენეს ჭიათურელი გამომგონებლის მექანიკოს შერმადინ ბუხრაშვილის კონსტრუქციის სამთო კომბაინის მომნგრევი ნაწილი. გამოცდამ კარგი შედეგი უჩვენა.

ახლა ჭიათურაში ყველაზე წინ არის კალინინის სახელობის მაღარო. მაღაროს კოლექტივმა იანვარ-თებერვლის გეგმის გადამეტებით 7.175 ტონა პირველი ხარისხის მარგანეცი ამოიღო. მაღალნაყოფიერად მუშაობენ უბნები, რომლებსაც ვლადიმერ სიკინჩელაშვილი და გრიგოლ ჭუმბურიძე ხელმძღვანელობენ. მათ დღიური დავალებები 110-115 პროცენტით შეასრულეს. კვლავ წარმატებით მუშაობს კომუნისტური შრომის ცვლა სამთო ტექნიკოს ოთარ ლორიას ხელმძღვანელობით. ცვლამ უკვე შეასრულა იანვარ-თებერვლის დავალება და გეგმის გადამეტებით მეტალურგიას გაუგზავნა 614 ტონა მარგანეცი.

გუშინ აქ მოვიდა ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივის წერილი. ისინი იტყობინებიან, რომ ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივთან აგრძელებენ სოციალისტურ შეჯიბრებას და კისრულობენ წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 10.000 ტონა მარგანეცი. ჭიათურელებმა მიიღეს გამოწვევა და გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 12.000 ტონა მარგანეცი.

# გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა

26 თებერვალს თბილისში გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა I დამფუძნებელი ყრილობა. რუსთაველის სახელობის სადღესასწაულოდ მორთულ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები, რომლებიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. აქ არიან რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო გაზეთების, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალების, საქდესის, გამომცემლობების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები. ყრილობას ესწრება მრავალი სტუმარი — სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სტუდენტები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ი. ი. ჩხიკვიშვილი ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ირჩევენ ყრილობის საქმიან პრეზიდიუმს ამხანაგების მ. დ. ჩუბინიძის, ი. ს. დოლიძის, მ. მ. ლელაშვილის, გ. ი. ჩოგოვაძის, ი. გ. რთველიაშვილის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენლის ი. ა. ანდრეევის და სხვების შემადგენლობით. არჩეულ იქნა სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

შემოდის წინადადება, რომ ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. ამ წინადადებას დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგომით, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან.

ერთხმად მტკიცდება შემდეგი დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს ანგარიში.
2. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტის განხილვა.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა,

ბ) სარევიზიო კომისიისა,

გ) სსრ კავშირის ჟურნალისტთა I დამფუძნებელი ყრილობის დელეგატებისა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. ს. დოლიძეს. შეკრებილთა ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობისადმი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორმა ამხ. ი. ი. ჩხიკვიშვილმა.

— საბჭოთა საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა, — თქვა მან, — ღირსშესანიშნავ დღეებში შეიკრიბა. ამას წინათ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ. როგორც დედამიწის პირველმა საბჭოთა ხელოვნურმა თანამგზავრმა, რომელიც მსოფლიოში პირველად გაუშვეს საბჭოთა ადამიანებმა, ამცნო მთელ კაცობრიობას, რომ დაიწყო ახალი ერა — კოსმოსის დაპყრობის ერა, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიადეს გამარჯვებათა ერა, ისევე ჩვენი გმირი პარტიის XXI ყრილობამ აუწყა მთელ მსოფლიოს, რომ მსოფლიო ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი.

მომხსენებელი ლაპარაკობს რესპუბლიკის პრესის მუშაკთა აქტიურ მონაწილეობაზე პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმათა განხორციელებაში. ჩვენი გაზეთები და ჟურნალები, ასრულებენ რა კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის საპატიო მოვალეობას, მილიონობით ადამიანს რაზმავენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარების გეგმების განხორციელებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის საბრძოლველად.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს, მისი შემოქმედებითი სექციებისა და ადგილობრივი განყოფილებების საქმიანობას, მუშსოფლკორთა მოძრაობის გაშლას.

ყრილობამ მოისმინა მოხსენება სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტის შესახებ, რომელიც გააკეთა ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს წევრმა, მთავლიტის უფროსმა ამხ. ბ. მ. შატბეროვმა.

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს მუშაობისა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. დ. გ. სტურუამ, აფხაზეთის საოლქო გაზეთის „აფსნი კაფშის" რედაქტორმა ამხ. ნ. უ. კიუტმა, აჭარის საოლქო გაზეთის „საბჭოთა აჭარის" რედაქტორმა ამხ. რ. ბ. სირაძემ.

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ აზერბაიჯანის საღამოს გაზეთის „ბაქოს" რედაქტორის ამხ. ნ. ა. იმამგულიევისა და სომხეთის რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგის ამხ. ს. მ. ბარსეღიანის გამოსვლებს, რომელნიც თავიანთი რესპუბლიკების ჟურნალისტთა სახელით მხურვალედ მიესალმნენ ქართველ თანამოკალმეებს.

ყრილობას გულითადად მიესალმნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის აგლომერმდის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ა. ვ. ძამაშვილი და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ს. ლორთქიფანიძე.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის განყოფილების გამგემ ამხ. შ. ვ. ყარყარაშვილმა.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა. (საქდესი).

# ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის აღმავლობისათვის

საქართველო თავისი მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. ათეულ ათასობით ჰექტარზეა გადაშლილი ჩაის ხავერდოვანი და ციტრუსოვანთა პლანტაციები. ამ კულტურების ნამდვილი განვითარება, აყვავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი. ამას ციფრობრივი მონაცემებიც მოწმობს. 1913 წელს ჩაის პლანტაციებს ჩვენს რესპუბლიკაში ეჭირა 900 ჰექტარი, ციტრუსებს კი — 160 ჰექტარი. ამჟამად ჩაის პლანტაციების ფართობი 51.800 ჰექტარია, ხოლო ციტრუსებისა რამდენიმე ათას ჰექტარს შეადგენს.

რაოდენ საამაყო და სასიხარულოა, როცა ხედავთ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა სახელოვანი შრომის დიდებულ შედეგებს. შარშან ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოება აყვანილ იქნა 133.000 ტონამდე, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 2.925 კილოგრამი ნედლეული. ყოველი მშრომელის გულს ახარებს ის, რომ საქართველო აწარმოებს ჩვენი ქვეყნის ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს.

როცა წარმატებებზეა ლაპარაკი, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს უნარიანი მუშაობა მოწინავე რაიონებისა, შემოქმედი ადამიანებისა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩაისა და ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდებაში.

ჩაისა და ციტრუსების პროდუქციის წარმოების გადიდების მძლავრი წყაროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარი გამოცდილება. ამით აიხსნება ის, რომ შარშან ქობულეთის რაიონმა ქვეყანას მისცა 17.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მახარაძის რაიონმა — 27.100 ტონა, ზუგდიდის რაიონმა 16.800, გალის რაიონმა — 10.800 ტონა. ასევე დაწინაურდა ზოგიერთი რაიონი და ცალკეული კოლმეურნეობები.

ავიღოთ სოფელ მახარაძის კოლმეურნეობა, რომელმაც მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 4.760 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია. საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 4.930 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 470 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღო 5.560 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასეთი მაგალითები ახლა ერთეული როდია, ისინი ათობით და ასობით შეიძლება დავასახელოთ.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით და შვიდწლიანი გეგმით ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა და მეციტრუსეთა წინაშე დიდი პერსპექტივებია გადაშლილი. სუბტროპიკულ რაიონებში უწინარეს ყოვლისა მძლავრად უნდა განვითარდეს ჩაისა და ციტრუსების წარმოება. ეს კარგად აქვთ შეგნებული საკოლმეურნეო შრომის ნოვატორებს, სახელმოხვეჭილ მეჩაიეებს თამარ ყუფუნიას, ქსენია ... [illegible]

... [illegible] ველად 140.000 ტონა ჩაის ფოთოლს მისცემენ.

გეგმის გადამეტებით 7.000 ტონა ჩაის ფოთოლი! — აი რისთვის უნდა იბრძოლონ წელს მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ჩვენმა მეჩაიეებმა.

560 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი! ეს არის ჩვენი მეციტრუსეების საბრძოლო ამოცანა, სახელისა და ღირსების საქმე შვიდწლედის პირველ წელს!

ეს მეტად სერიოზული და პასუხსაგები ვალდებულებანია. მათი სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლა ამთავითვე უნდა გაჩაღდეს. ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ მეჩაიეებისა და მეციტრუსეების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი. არ უნდა გამეორდეს წინა წლების შეცდომები. წარმატებები თავისთავად როდი მოვა. ისინი სიძნელეთა დაძლევით უნდა მოვიპოვოთ. დასამალავი არ არის, რომ ზოგიერთ რაიონში მთელი შესაძლებლობით როდია გამოვლინებული ახალი რეზერვები; ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში მიმდინარე სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში არ სრულდება.

შარშან შემოდგომაზე კარგი ამინდი იყო. მაგრამ ჩაის პლანტაციების რიგთაშორის დამუშავების დავალება რესპუბლიკაში 91,6 პროცენტით შესრულდა. ზოგან ჭიანურდება ჩაის ნიადაგის გადაბარვა და სასუქის შეტანა. ეკალ-ბარდისაგან გაწმენდის სამუშაოებში ჩამორჩნენ წულუკიძის, ოჩამჩირის, გალის, სამტრედიის, წალენჯიხისა და ზოგიერთი სხვა რაიონები. ქმედითი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ციტრუსების ნარგავების დანაკლისის აღსადგენად. ეს პირველ რიგში ეხებათ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებისა და მახარაძის რაიონებს.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა მკვეთრად გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა მასებში. ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გასადიდებლად მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადასა და რგოლში მტკიცედ ხორციელდებოდეს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავება, ჩაის ახალი პლანტაციები გაშენდეს მათთვის შესაფერ ადგილზე.

აუცილებელია, სანამ გვიან არ არის, დაჩქარდეს ჩაის პლანტაციების გადაბარვა და სასუქების შეტანა, სადრენაჟო ქსელის შეკეთება-გაწმენდა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაისა და ციტრუსების მავნებლებთან ბრძოლას. ფართოდ დაინერგოს პლანტაციების მორწყვის მეთოდი, მულჩირება; საჭიროა მოეწყოს ფუმიგაცია ჩაის ბუჩქების ვეგეტაციის დაწყებამდე და სხვ.

ჩვენი მეჩაიეები სამართლიან მოთხოვნილებას უყენებენ მეცნიერ მუშაკებს, კონსტრუქტორებსა და გამომგონებლებს, რომ საჭიროა ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის საკრეფი ... [illegible]

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვნად გაადიდონ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა და მიაღწიონ 1965 წელს აჭარის ასს რესპუბლიკაში ჰექტარზე სულ მცირე 4.800 კილოგრამი ჩაის ფოთლის, მახარაძის რაიონში — 4.200, ლანჩხუთის რაიონში — 3.900, ზუგდიდის რაიონში — 3.500, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 3.500, წალენჯიხის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონებში სულ ცოტა 2.800-3.000 კილოგრამი, ცხაკაიას, ტყიბულის, ხონის, მახარაძის და ხობის რაიონებში სულ ცოტა 2.600-2.800 კილოგრამი, ქუთაისის რაიონში სულ ცოტა 2.500 და წყალტუბოს რაიონში სულ ცოტა 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებას.

(საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1959 წლის 8 იანვრის დადგენილებიდან).




## 1965 წლისათვის მივიღებთ 21.200 ტონა ჩაის ნედლეულს და 310 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს

### ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალდებულებები

უკანასკნელ წლებში ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ჩაის, ციტრუსების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ქობულეთელებმა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გეგმა 104,1 პროცენტით შეასრულეს. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 17.404 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.680 კილოგრამისა. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.470 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რითაც რაიონს პირველი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში.

მაგრამ ჩვენ სრულებითაც არ ვკმაყოფილდებით მიღწეულით. ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი. გავეცანით რა ახალი შვიდწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონეთ არსებული შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ 1965 წლისათვის ჩაის მწვანე ფოთლის საერთო წარმოება ავიყვანოთ 21.200 ტონამდე, ხოლო საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 5.100 კილოგრამი ნედლეული.

წელს გეგმით გათვალისწინებული 17.400 ტონის ნაცვლად მოვკრეფთ და მრეწველობას ჩავაბარებთ სულ მცირე 18 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

შვიდწლედის მანძილზე რაიონში ჩაის ახალ პლანტაციებს გავაშენებთ 510 ჰექტარზე, ხოლო წელს — 84 ჰექტარზე. უახლოეს 2-3 წელიწადში მთლიანად აღმოვფხვრით ჩაის პლანტაციების მეჩხერიანობას, დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატარებთ პლანტაციების მიმდინარე სამუშაოებს, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდებით კრეფის წლევანდელ სეზონს.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ მეციტრუსეობით.

შვიდწლედის პირველ წელს მივიღებთ 225-240 მილიონ ცალ მანდარინს, 6 მილიონ ცალზე მეტ ფორთოხალს და სულ ცოტა 4 მილიონ ცალ ლიმონს. 1965 წლისათვის ციტრუსების საერთო მოსავალს ავიყვანთ 300-310 მილიონ ცალამდე.

უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველვყოფთ ციტრუსოვანთა პლანტაციების აღდგენას 300, ხოლო რემონტს — 250 ჰექტარზე. შვიდწლედის ბოლომდე გავაშენებთ ახალ პლანტაციებს 600 ჰექტარზე. მკვეთრად გავაუმჯობესებთ ნარგავების მოვლა-პატრონობას. წელს დავამყნობთ 240 ათასს, ხოლო 1960 წელს 480 ათას ძირ ციტრუსს. სავსებით უზრუნველვყოფთ ციტრუსოვანთა პლანტაციებს ქარსაფარი ზოლებით, ცოცხალი ღობეებით და საავტომობილო გზებით.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში რაიონის მეცხოველეებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს რძის წარმოების გადიდების საქმეში. მაგალითად, 1953 წელთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა საშუალოდ 1.184 კილოგრამით გადიდდა და შარშან 1.801 კილოგრამი შეადგინა. ამ მხრივ ბათუმის რაიონის შემდეგ პირველ ადგილზე ვართ რესპუბლიკაში.

წელს თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მივიღებთ 2.100 კილოგრამ რძეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 1.900 კილოგრამისა. 1965 წლისათვის ძროხის საშუალო წველადობას რაიონში გავადიდებთ 2.500-2.700 კილოგრამამდე. შემდგომ გავაუმჯობესებთ პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობასა და მის მოვლა-პატრონობას, ავამაღლებთ ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონეს. მნიშვნელოვნად გავაფართოებთ საკვებ ბაზას ადგილობრივი მიწის სავარგულების უფრო რაციონალურად გამოყენებით, გავადიდებთ სიმინდის მოსავლიანობას — საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 30 ცენტნერს. თვითეულ ძროხაზე დავამზადებთ 10 ტონა სილოსს.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ბათუმის რაიონის მშრომელებს.

**ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე.**

კომუნისტი
პარასკევი, 27 თებერვალი, 1959 წ. № 48 (11354).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპუტატობის კანდიდატები

ქუთაისის — წულუკიძის № 216 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი მარგალიტა ეფრემის ასული დარახველიძე.

ქუთაისის — კიროვის № 217 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი შოთა სიმონის-ძე კობახიძე.

ქუთაისის — წერეთლის № 218 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მქსოველი ელენე გიორგის ასული ჭიმშელეიშვილი.

ქუთაისის — რუსთაველის № 219 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საინსტრუმენტო-სატვიფრავი საამქროს ჩქაროსანი ხარატი ანატოლი კაზიმირის-ძე აგაპოვი.

ქუთაისის — თბილისის № 220 საარჩევნო ოლქში — გიორგი სტეფანეს-ძე ანიშჩიკი.

ქუთაისის — ორჯონიკიძის № 221 საარჩევნო ოლქში — ქუთაისის გ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი შალვა დავითის-ძე კიკნაძე.

ტყიბულის — ლენინის № 225 საარჩევნო ოლქში — ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი შოთა ბიქტორის-ძე კუბლაშვილი.

ტყიბულის — სტალინის № 226 საარჩევნო ოლქში — საქართველოს შახტმშენის ტრესტის ტყიბულის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი ოთარ პლატონის-ძე სვანაძე.

ტყიბულის № 227 საარჩევნო ოლქში —საქენერგოს სამმართველოს უფროსი დავით ნესტორის-ძე ჩხეიძე.

საწირის № 228 საარჩევნო ოლქში — ტყიბულის რაიონის სოფელ დაბაძველის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იპოლიტე ვასილის-ძე გვენეტაძე.

ორპირის № 229 საარჩევნო ოლქში— საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიკომის პირველი მდივანი კარლო მელენტის-ძე ლომაძე.

ამბროლაურის № 230 საარჩევნო ოლქში — ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ სიმონის-ძე ჭელიძე.

ჭრებალოს № 231 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი შალვა სიმონის-ძე კახიძე.

ჭელიაღელის № 232 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კონდრატე სოკრატეს-ძე ციმაკურიძე.

ლენტეხის № 235 საარჩევნო ოლქში— საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი თეიმურაზ ივანეს-ძე ხაბულიანი.

ცაგერის № 236 საარჩევნო ოლქში— ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის კოლმეურნეობის წევრი ქსენია გიორგის ასული გუგავა.

ალპანის № 237 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი შალვა ლუკას-ძე ვასაძე.

ორბელის № 238 საარჩევნო ოლქში— საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი გრიგოლ გრიგოლის-ძე ჩაჩხიანი.

სამტრედიის — სტალინის № 242 საქალაქო საარჩევნო ოლქში — ქალაქ სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ მიხეილის ასული თავაძე.

სამტრედიის — ლენინის № 243 საქალაქო საარჩევნო ოლქში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე სიმონ დავითის-ძე ლეჟავა.

კულაშის № 244 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე.

გომის № 246 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი.

საჯავახოს № 247 საარჩევნო ოლქში— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგე გივი ნიკოლოზის-ძე მელაძე.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

მაიაკოვსკის № 252 საარჩევნო ოლქში — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის რგოლის მერგოლური გოგუცა არჩილის ასული გველესიანი.

დიმის № 253 საარჩევნო ოლქში—საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი ვალერიან დავითის-ძე ჩინჩალაძე.

წითელხევის № 254 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლუკა იოსების-ძე მალლაფერიძე.

ლანჩხუთის № 258 საარჩევნო ოლქში — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნესტორ ათანასეს-ძე ლლონტი.

აცანის № 259 საარჩევნო ოლქში — ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის ბრიგადირი თამარ ილარიონის ასული კვიჟიძე.

სუფსის № 260 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილი.

ლესის № 261 საარჩევნო ოლქში—საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი დავით ერასტის-ძე მანწკავა.

წალენჯიხის № 286 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი გრიგოლ ძაკას-ძე შონია.

ცხაკაიას № 271 საქალაქო საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ანტონ კირილეს-ძე კელენჯერიძე.

მენჯის № 272 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი იროდიონ ბორისის-ძე ურუშაძე.

ნოსირის № 273 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არნოლდ სტეფანეს-ძე ჩიქობავა.

ნაქალაქევის № 274 საარჩევნო ოლქში — ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ პავლეს-ძე შონია.

დიდი ჯიხაიშის № 245 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ნიკოლოზ ირაკლის-ძე ფანცულაია.

ჯგალის № 287 საარჩევნო ოლქში — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის-ძე ხორავა.

ლიის № 288 საარჩევნო ოლქში — წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის კოლმეურნეობის წევრი სოფიო ძოკიას ასული შონია.

ჩხოროწყუს № 289 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ ვასილის-ძე ცანავა.

ხაბუმის № 290 საარჩევნო ოლქში — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნათელა იოსების ასული შენგელია.

ფოთის რუსთაველის № 297 საარჩევნო ოლქში — ფოთის ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის მეამწე ანასტასია კუზმას ასული კაზაკევიჩი.

ფოთის სტალინის № 298 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვიქტორ სტეფანეს-ძე კვარაცხელია.

ფოთის ლენინის № 299 საარჩევნო ოლქში — ფოთის წისქვილკომბინატის დამხარისხებელი ალექსანდრა ალექსანდრეს ასული სოლომონია.

ფოთის ნავსადგურის № 300 საარჩევნო ოლქში — თევდორე ივანეს-ძე საველიევი.

გეგეჭკორის № 291 საარჩევნო ოლქში — დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მარგო ილარიონის ასული ჩიქვანაია.

მუამთის № 251 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრი ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძე.

ვანის № 248 საარჩევნო ოლქში — ვანის რაიონის სოფელ ციხესულორის კოლმეურნეობის წევრი თამარ ზევასტის ასული გიორგაძე.

დიხაშხოს № 249 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი გიორგი მიხეილის-ძე ლილუაშვილი.

ზეინდრის № 250 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი.

ჩოხატაურის № 255 საარჩევნო ოლქში — ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის წევრი ეთერ შალვას ასული ჯიბუტი.

ხიდისთავის № 256 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი აკაკი გრიგოლის-ძე გობრონიძე.

დაბლაციხის № 257 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ვასილის-ძე სიხარულიძე.

მახარაძის № 262 საქალაქო საარჩევნო ოლქში — მახარაძის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშა ლამარა პეტრეს ასული კალანდაძე.

მერიის № 263 საარჩევნო ოლქში — მახარაძის რაიონის სოფელ „შრომის" ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ფილიპეს-ძე ორაგველიძე.

ნასაკირალის № 264 საარჩევნო ოლქში — მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით ხარიტონის-ძე საბაშვილი.

ბახვის № 265 საარჩევნო ოლქში — კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინორეჟისორი სიმონ ბესარიონის-ძე დოლიძე.

ნატანების № 266 საარჩევნო ოლქში მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური დარეჯან საბას ასული ტაკიძე.

შემოქმედის № 267 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ზაქარიას-ძე თოხაძე.

ხობის № 275 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე სოლომონის-ძე წურწუმია.

ჭუბურხინჯის № 316 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი უჩა (ილია) მალაქიას-ძე ჯაფარიძე.

ნაბაკევის № 317 საარჩევნო ოლქში — გალის რაიონის სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კაპიტონ ბეგლარის-ძე ელიავა.

საჯიჯაოს № 276 საარჩევნო ოლქში — ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს კოლმეურნეობის წევრი ქსენია ევგენის ასული კევალიშვილი.

ხეთის № 277 საარჩევნო ოლქში — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ესტატეს-ძე ჭილაია.

ზუგდიდის სტალინის № 278 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი აკაკი კონსტანტინეს-ძე ქვარცხავა.

ზუგდიდის ლენინის № 279 საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მიხეილ ბაგრატის-ძე ლვინჯილია.

ზუგდიდის კიროვის № 280 საარჩევნო ოლქში — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ანთიმოზ მიხეილის-ძე როგავა. (საქდესი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

25 თებერვალს თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ. მ. ლელაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ი. გ. როველიაშვილმა სხდომას გააცნო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შედეგები.

დეპუტატობის კანდიდატები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა 368 საარჩევნო ოლქში დროზე იქნენ რეგისტრირებულნი. საჩივრები და განცხადებანი დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისა და რეგისტრაციის დროს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შემოსულა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები და სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო წერილი საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები არჩევნების დღეს კომისიების მუშაობისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ.

შემდეგ სხდომაზე ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ გააკეთეს ჩოხატაურის № 255 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რ. კვინტრაძემ, გურჯაანის № 152 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ბერეკაშვილმა და ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 10 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლ. პუჩკოვამ.

მათ აღნიშნეს განსაკუთრებით მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა მშრომელებისა, რომლებიც უდიდესი ინტერესით სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალებს, შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს. საგიტაციო პუნქტებში, საარჩევნო უბნებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები ყრილობის შედეგების შესახებ, მათ ესწრება დიდძალი მსმენელი.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ა. დვალიშვილისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს კულტურის განყოფილების გამგის ი. ჩოჩიას ინფორმაცია ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ წევრთა ინფორმაცია არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, რომლებიც მივლინებულ იყვნენ ახალქალაქის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონებში, აგრეთვე ქალაქ თბილისის რაიონებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჩაღდება ყოველმხრივი მზადება არჩევნებისათვის. ყველგან დროზე შეიქმნა საარჩევნო უბნები, გამოქვეყნებულია საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმოებს ამომრჩევლებში. საოლქო საარჩევნო კომისიებს მიეცათ რჩევა, თუ რა პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ შემოწმების მსვლელობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

კომისიის გადაწყვეტილებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები იგზავნებიან რესპუბლიკის რაიონებში, რათა თვალყური ადევნონ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობას.

(საქდესი).

# მეტი ჩაი—დედა სამშობლოს!

## მეჩაიეს სიხარული

**ხალხის რჩეული**

„მწვანე ოქროს" უხვი მოსავლის ოსტატი" —ამ სათაურით გასულ წელს ხობის რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მკითხველს აცნობდა სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს ქსენია კევალიშვილის შრომით საქმიანობას, ჩაის ბუჩქის მოვლის მეთოდებს. წერილი ასე მთავრდება: „ნოვატორ მეჩაიეს ქსენია კევალიშვილის მუშაობის მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელება დიდად დაეხმარება რაიონის მეჩაიეებს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში".

ეს რომ წაიკითხა, ქსენიამ მორცხვად გაიღიმა და თავისთვის თქვა: — განა ისეთი რა გავაკეთე, რომ ჩემს მაგალითს მთელი რაიონის მეჩაიეებმა მიბაძონ. მან კარგად იცის რაც გააკეთა, ან როგორ მიაღწია წარმატებას, მაგრამ მას ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია. იგი ხშირად იტყვის ხოლმე — მე ვიცი შრომა, მისი ფასი და ამისათვის ენერგიასაც არ ვიშურებ.

ათ წელიწადზე მეტია ჩაის პლანტაციას უვლის და ყოველ წელს უხვ მოსავალს იღებს. შარშან 0,8 ჰექტარზე 10.800 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

რომ ჰკითხოთ, როგორ მიაღწიე ამ წარმატებასო, გაწითლდება და ორიოდე სიტყვით გეტყვით: რა ვიცი, ვმუშაობ, ჩაის ბუჩქს ხელს არ ვაკლებ, ეს არის და ეს.

ვინც იცის თუ როგორი ხელი სჭირდება ჩაის ბუჩქს, ადვილად მიხვდება, რომ ქსენია ყოველდღე ჭარასავით ტრიალებს ჩაის პლანტაციაში, თავს ევლება ყოველ ბუჩქს, სასუქს არ აკლებს, შ ე მ ო ბ ა რ ვ ა ს, სხვლასა და ფორმირებას დროულად ა ტ ა რ ე ბ ს. ზოგს ჰგონია, ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მიღება მარტო კრეფაზეა დამოკიდებულიო, ის კი ავიწყდებათ, რომ ჩაის ბუჩქს მთელი წლის განმავლობაში არ უნდა „მოაკლო ხელი".

კარგა ხანია იცნობს ქსენია ზანელი მეჩაიე ნოვატორის ტ ა ტ ი ა ნ ა ტყებუჩავას შრომით საქმიანობას. მის შესახებ არაერთხელ წაუკითხავს რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. ტატიანა ქსენიამ ამას წინათ საქართველოს კომპარტიის მე-19 ყრილობაზე გაიცნო ახლოს, შემდეგ კი, როცა შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს გაეცნო, მან ტყებუჩავა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია და ვალდებულება აიღო წელს 0,8 ჰექტარზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 12 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

— ვალდებულება ავიღე, მას შესრულება უნდა, — ამბობს ქ. კევალიშვილი, — პირი არ უნდა შევირცხვინო, ტატიანა ტყებუჩავასთან შეჯიბრება სახუმრო საქმე როდია.

ქსენიამ ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლა შარშან ჩაის კრეფის დამთავრებისთანავე დაიწყო. იგი წვიმასა და უამინდობას არ უშინდებოდა. მთელ პლანტაციაში ნიადაგი უკვე გადაბარა, შეიტანა სასუქები, ბუჩქები აგროწესების ზუსტად დაცვით გასხლა და გააფორმა, ხმელი ტოტები შეაცალა. მოწინავე მეჩაიემ წინდაწინ გაიყვანა მცირე სადრენაჟო არხები, ვინ იცის იქნებ დიდი თოვლი მოვიდეს და ნიადაგი ზომაზე მეტად დანოტივდება, — იფიქრა ქსენიამ.

ასეც მოხდა, თებერვლის დამდეგს საჯიჯაოს გორაკები დაიფარლნა, ჩაის პლანტაციებს თეთრი სამოსელი ჩააცვა, მაგრამ ამ დროისათვის საჯიჯაოელ მეჩაიეებს ქსენიას მაგალითისამებრ ჩაის პლანტაციებში ყოველგვარი სამუშაო დამთავრებული ჰქონდათ.

ამას წინათ სოფლის კლუბში კოლმეურნეთა საერთო კრება მოიწვიეს. კოლმეურნე ა. გოგენიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქსენია კევალიშვილი დაასახელა. საჯიჯაოელებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას და სურვილი გამოთქვეს თავიანთ დეპუტატად მოწინავე მეჩაიე აირჩიონ.

სიტყვებით მრავალი კოლმეურნე გამოვიდა, ყველა გარჯასა და მარჯვენას უქებდა ქსენიას.

ასეა, ვინც შრომობს, გამოცდილებასა და ენერგიას არ იშურებს, მას ხალხი გულით შეიყვარებს და ამაგს დაუფასებს.

ვ. ქორთუა,
ვ. გოზალიშვილი.



ქ. კევალიშვილი

* * *

## მანდარინის ერთ ხეზე

შვიდწლედში დიდი ამოცანებია დასახული ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში 3.700 ჰექტარი ახალი პლანტაციები გაშენდება.

მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით ციტრუსოვანთა მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას აღწევენ. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს გონიოს საბჭოთა მეურნეობას. აქ შარშან საუკეთესოდ მოუარეს ციტრუსებს, დროულად განახორციელეს აგროტექნიკური ღონისძიებანი და საშუალოდ ერთ ძირ მანდარინის ხეზე მიიღეს 623 ცალი ნაყოფი.

წარმატებებს მიაღწია ეშერის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც საშუალოდ ერთ ხეზე მიიღო 695 ცალი მანდარინის ნაყოფი, 500 ცალი ფორთოხალი, 414 ცალი ლიმონი.

საყოველთაოდ გაითქვა სახელი სოფელ გონიოს კოლმეურნეობის მეციტრუსემ დურსუნ ბაკურაძემ, იგი უვლის 220 ძირ მანდარინის ხეს და საშუალოდ ერთ ხეზე მიიღო 2.114 ცალი მანდარინი, სულ კი 465.080 ცალი.

# გამოუყენებელი რეზერვები

### გავაფართოოთ ჩაის პლანტაციები

გაზეთ „კომუნისტის" 1959 წლის 24 იანვრის ნომერში დაბეჭდილი იყო ჭიათურის რაიონის სოფელ თვალუეთის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადის ხელმძღვანელის ნ. ბიწაძის წერილი „მეტი ფართობები ჩაის კულტურას". ამ წერილში ავტორი ეხება ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს — ჭიათურის და საჩხერის რაიონებში მდებარე მასივ „ულევზე" ჩაის საბჭოთა მეურნეობის დაარსების აუცილებლობას.

ეს წინადადება ყურადღების ღირსია. ჩვენ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ხაზით წლების მანძილზე გვიხდება მუშაობა ამ ზონაში და საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა რამ ვთქვათ ამ საკითხის გარშემო.

ჯერ კიდევ 1932 წელს გამოვიკვლიეთ საკმაოდ დიდი მასივი — ულევი. ეს მასივი იწყება ზესტაფონის რაიონში (ბოსლევი, საწაბლია), გაივლის ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე (გეზრული, ტყემლოვანი, თვალუეთი და სხვ.) და მიდის საჩხერის რაიონის კორბოულის სასოფლო საბჭომდე. მასივის სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 15-20 კილომეტრია, სიგანე — 3-5 კილომეტრი. მასივი ულევი წარმოადგენს მაღალ ტაფობურ პლატოს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან ბოსლევში უდრის 500 მეტრს და კორბოულში — 750 მეტრს.

სათანადო ანალიზებით დადასტურებულია, რომ ულევზე საკმაო რაოდენობით არის ჩაის კულტურისათვისვარგისი მჟავე და სუსტად მჟავე რეაქციის მქონე ყვითელმიწა ნიადაგები, უმთავრესად მასივის შუა და დასავლეთ ნაწილებში.

1937 წლიდან დაწყებული საცდელ გეოგრაფიულ ნაკვეთებზე სისტემატურად ვსწავლობდით ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარებას, ფოთლის მოსავლიანობას, მიკროკლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებს.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ მასივის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში ჩაისათვის ვარგისი საკმაოდ დიდი ფართობებია. მასივის აღმოსავლეთ ნაწილში კი ნიადაგების მეტი სიჭრელეა.

ბოსლევის საცდელ ნაკვეთზე სრულმოსავლიანი ბუჩქებიდან საშუალოდ ჰექტარზე ვიღებდით 1.600 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, გეზრულში — 3.000 კილოგრამამდე, შომახეთის (კორბოული) საცდელ ნაკვეთზე საშუალოდ ერთ ტონაზე ცოტა მეტს; აქ სავეგეტაციო პერიოდი უფრო მოკლეა, ვიდრე გეზრულსა და ბოსლევში.

ამჟამად მასივ ულევის იმ ნაწილზე, რომელიც ჭიათურის რაიონში შედის, დაწყებულია ჩაის პლანტაციების გაშენება. აქ ცალკეული პლანტაციებიდან, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 2 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს.

ამრიგად, მასივ ულევზე გვაქვს ჩაისათვის ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვი, რომლის მიზანშეწონილად გამოყენებას გვიკარნახებს ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანა.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ულევში დაარსდეს კომპლექსური საბჭოთა მეურნეობა, სადაც წამყვანი ჩაის კულტურა იქნება. გარდა ჩაისა, აქ შეიძლება გაშენდეს დაფნა, ვენახი და ხეხილი.

ამასთან ერთად კარგი იქნება ულევის მასივზე აშენდეს ჩაის ფაბრიკა. მანამდე კი საჭიროა მოეწყოს ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი დროებითი პუნქტი.

ამ ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს მასივ ულევზე ჩაის და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა განვითარებას.

ი. ჩხაიძე,
ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის აგროეკოლოგიის განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. კვაჭანტირაძე,
უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

## კომუნისტური შრომის ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან

სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა ჩაის მაღალი მოსავლით ერთ-ერთი პირველთაგანია ლანჩხუთის რაიონში. შარშან აქაურმა კოლმეურნეებმა 100 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 5.000 კილოგრამამდე ფოთოლი მიიღეს, რაც დიდად სჭარბობს რაიონის მოსავალს საშუალოდ ჰექტარზე.

პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად ლესელმა მეჩაიეებმა ვალდებულება აიღეს შვიდწლედის გეგმა ერთი წლით ადრე — 1964 წლისათვის შეასრულონ, ყოველწლიურად 350 კილოგრამით გაზარდონ ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე, იმ ვარაუდით, რომ 1964 წლისათვის ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა 7.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ამასთან ერთი ტონა ფოთლის დამზადებაზე შრომის დანახარჯი შეამცირონ 6 პროცენტით.

ჩაის უხვი მოსავლის მრავალი განთქმული ოსტატია ლესაში. მეჩაიეობის ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს აკაკი მურადაშვილის ბრიგადა, რომელიც ახლახან კომუნისტური შრომის ბრიგადად იქნა გამოცხადებული.

ამას წინათ ჩაის საზამთრო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადას გადაეცა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის გარდამავალი წითელი დროშა.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა ვალდებულება ასეთია: მოსავლელად მიჩენილი 16 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიმდინარე წელს მოკრიფონ 110 ტონა ნედლეული. შვიდწლედის ყველა დავალებას შეასრულებენ ექვს წელიწადში. სოციალისტური შრომის გმირის მატრონე მშვიდობაძის რგოლის წევრებმა იკისრეს 1964 წლისათვის 4,2 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 9 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ბრიგადის წევრებმა, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატებმა ნ. ლომაძემ, ქ. კუნჭულიამ, კ. მურადაშვილმა და სხვებმა.

ბრიგადის წევრები ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც კოლმეურნე ალექსანდრე მიმინოშვილი ხელმძღვანელობს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ლომიძე გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს ა. მურადაშვილს (მარცხნივ).



## თეორიული კონფერენცია რუსთავში

**ღრმად შევისწავლოთ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი**

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე „სკკპ XXI ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა". მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. გომელაური.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მთავარ ამოცანებზე, კაპიტალიზმთან სოციალიზმის ეკონომიური შეჯიბრების და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ როლზე კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

მოხსენების ირგვლივ ცალკეულ საკითხებზე მრავალი ორატორი გამოვიდა.

ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. ბ. პალეიმ ილაპარაკა საწარმოს განვითარების შვიდწლიანი გეგმის პერსპექტივებზე. 1965 წლის ბოლოსათვის თუჯის წარმოება გაიზრდება 5,8 პროცენტით, ფოლადისა — 22,1, მზა ნაგლინისა — 27,4, მილებისა — 33,8, მზა პროდუქციისა — 19,8 პროცენტით და ა. შ. პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ქარხანაში აშენდეს მილადიდას ახალი საამქრო, რომელიც საექსპლოატაციოდ რომ გადაეცემა, 1961 წლის ბოლოს დიდი რაოდენობით გამოუშვებს სხვადასხვა ზომის მილებს. საქმის ინტერესები მოითხოვს შვიდწლედში ქარხანაში განხორციელდეს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ქარხანაში უკვე შეუდგნენ მუშაობას თბილისისა და რუსთავის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ინსტიტუტები. შეიქმნა კომპლექსური კომისიები, რომლებიც სწავლობენ და აზუსტებენ ავტომატურ მართვაზე გადასაყვან დანადგარებსა და ობიექტებს.

საინტერესო იყო ქარხნის საწარმოო განყოფილების ინჟინრის ამხ. რ. ლივშეცის გამოსვლა, რომელიც მიეძღვნა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას შვიდწლედში. რუსთავის მშრომელებისათვის აშენდება 300.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე თეატრი, ორი კულტურის სახლი, მრავალი სამედიცინო დაწესებულება, საბავშვო ბაგები და ბაღები, სკოლები, ინტერნატები და სხვ.

შვიდწლედში გათვალისწინებულია შემოღებულ იქნას ხუთდღიანი სამუშაო კვირა. ეს მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა იქნება. ორატორმა აღნიშნა, რომ ქარხანაში შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლამ საუკეთესო შედეგები გამოიღო, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგთა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გადიდდა პროდუქციის წარმოება.

ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. ი. კოგანმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას საბჭოთა კავშირში და კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში, ხოლო საქარხნო გაზეთის „მეტალურგის" თანამშრომელმა ამხ. კ. მუმლაძემ ილაპარაკა იმ დროულ ღონისძიებებზე, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ცხოვრებასთან სკოლის მჭიდროდ დაკავშირებისათვის.

თეორიულ კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ქამიერაშვილი და ტექნიკური განყოფილების მთავარი მგლინავი ამხ. ა. სვეტლიცკი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა

# დიად შვიდწლედს—ჩვენი კალმის ძალა!



გუშინ, საქართველოს ჟურნალისტები ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში პირველად შეიკრიბნენ თავიანთ დამფუძნებელ ყრილობაზე.

მათი ეს ყრილობა მოეწყო იმ დღეებში, როცა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ საქართველოს მშრომელებს დიადი შვიდწლედის პირველი კედლები ამოჰყავთ. შვიდწლედი დიდი სახალხო ეპოპეაა. მასში მზესავით მოჩანს ხალხისა და პარტიის ნათელი ოცნება, სიბრძნე...

და ვინ უნდა აჩვენოს ქვეყანას შვიდწლედის მშენებელთა გმირული საქმეები და სული, თუ არა ჟურნალისტებმა! ვინ უნდა გახადოს ერთის უბადლო მაგალითი მრავალთათვის მისაბაძი, თუ არა ჟურნალისტებმა! ვინ უნდა დაწეროს ჩვენი გამარჯვებებისა და მიღწევების მართალი მატიანე, თუ არა ჟურნალისტებმა! ნამდვილად რთული და საამაყო მოვალეობა აკისრიათ მათ. ამ მაღალი კეთილშობილური სულისკვეთებით არის გამსჭვალული მათი პირველი დამფუძნებელი ყრილობაც, რომელიც ახალი შემოქმედებითი აღმაფრენის ჭეშმარიტი დასაწყისი იქნება!

* * *

სურათზე: ლ. მოწერელია — გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის" რედაქტორი, ბ. შელია — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე, ვ. გელაშვილი — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორი, რ. სირაძე — გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი, ხ. ბარსეღიანი — გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგე (სომხეთის სსრ) და ნ. იმანგულიევი — ბაქოს საღამოს გაზეთ „ბაქოს" რედაქტორი (აზერბაიჯანის სსრ).

ფოტო ს. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

* * *

## დიადი ლაშქრობა დაიწყო

გაზეთების ფურცლებზე

**კომუნისტური** პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ, ტიტანური ძალა შთაბერა საბჭოთა ადამიანებს ნათელი და დიდებული მომავლის — კომუნიზმის ასაშენებლად. ბევრი ჩვენი გაზეთი შემოქმედებითად მიუდგა საპატიო და პასუხსაგებ ამოცანას — დარაზმოს მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აჩვენოს ჩვენი თანამემამულეების გმირული შრომა.

საოლქო გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" ხშირად აძლევს გვერდებს საერთო სათაურით „დიადი ლაშქრობა დაიწყო", რომლებიც მოუთხრობენ მკითხველებს აფხაზეთის მშრომელთა თავდადებულ მუშაობაზე პარტიის მიერ დასახული დიადი გეგმის განხორციელებისათვის, ამა თუ იმ საწარმოს ან კოლმეურნეობის შესანიშნავ პერსპექტივებზე.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის ორი მოწინავე მუშაკის, ძმების ვალიკო და მიშა გოგოხიების შრომითი გმირობის შესახებ წერს მეშახტე დ. ჩაკაბერია. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, „ძმები **ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ანაღდებენ, ათობით ტონა ქვანახშირს იძლევიან გეგმის გადამეტებით, ფართოდ იყენებენ შრომის მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს... შვიდწლედის პირველ დღეებში მათ შრომითი სტარტი შესანიშნავად აიღეს და ყოველ დღეს ახალი წარმატებებით აღნიშნავენ"**.

გუდაუთის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოპოვებულ წარმატებებსა და ახლო მომავლის გეგმებზე მოუთხრობს მკითხველებს წერილი „ნათელი მომავლის რწმენით". კოლმეურნეობას აქვს თავისი განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლის განხორციელება ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანს კოლმეურნეობას. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა მტკიცე გადაწყვეტილებაა 1965 წლისათვის გათვალისწინებული დავალებები პირნათლად გაანაღდონ ორი წლით ადრე — 1963 წლისათვის.

გაზეთმა შემოიღო ახალი რუბრიკა „ლაპარაკობენ კომუნიზმის მშენებლები". ამ რუბრიკით გამოქვეყნებულია გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პირველი აგრორაიონის მმართველის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ხაჯაპურიძის, გალის რაიონის სოფელ მზიურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ვ. ზაქარაიას და სხვათა წერილები კომუნიზმის მშენებელთა შემოქმედებითი მუშაობის შესახებ.

აჭარის საოლქო გაზეთმა **„ბატუმსკი რაბოჩიმ"** მთელი ნომერი მიუძღვნა შვიდწლედის ერთ ჩვეულებრივ დღეს. ეს დღე თითქოს არ გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან, მაგრამ იგი თავისებურად ღირსშესანიშნავი იყო აჭარის მშრომელებისათვის. ამ დღეს საწარმოებში, აგიტპუნქტებში, ამომრჩეველთა ბინებში აგიტატორები აცნობდნენ მსმენელებს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, არჩევნების დებულებას, ბათუმელი გემთმშენებლები შეუდგნენ ზეგეგმითი გლისერის მონტაჟს, არტელმა „ენერგიამ" გამოუშვა პირველი ავტოსაბურავი, ბათუმის ციტრუს-კომბინატიდან 40.000 ქილა კონსერვი გაიგზავნა შორეულ ჩრდილოეთში, ბათუმის დრამატულ თეატრში მიმდინარეობდა მუშაობა ახალ დადგმაზე „მევლუდი" და სხვ. ყოველივე ამის შესახებ საინტერესოდ მოუთხრო მკითხველებს „ბატუმსკი რაბოჩიმ".

მოწონებას იმსახურებს თელავის რაიონული გაზეთის **„კოლმეურნის ხმის"** გაშლილი გვერდები, რომლებიც რაიონის დიდებულ მომავალზე მოგვითხრობენ. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები მრავლისმეტყველი და მრავალფეროვანია.

შვიდწლედში რაიონის ეკონომიკის ზრდასა და განვითარებასთან ერთად საგრძნობლად გაუმჯობესდება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ჯანმრთელობის დაცვის ქსელს შეემატება 5 საავადმყოფო, 2 სამშობიარო სახლი, 3 აფთიაქი, 5 დასასვენებელი სახლი კურორტ „ცივზე". მწყობრში ჩადგება 7 ახალი სასკოლო შენობა, 4 კულტურის სახლი, 10 კლუბი, 2 ბიბლიოთეკა, 9 აბანო, 12 სასპორტო მოედანი, 11 საბავშვო ბაღი და ბაგა. ყოველივე იმის ჩამოთვლა, რაც შვიდწლედში გაკეთდება, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის კიდევ უფრო ბედნიერი და სამური გახდება თელავის რაიონის მშრომელთა ცხოვრება.

შვიდწლედი, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა დიდი თემაა და იგი დიდ შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს ჟურნალისტებისაგან.

მეტი ინიციატივა ამ დიდი თემის გაშუქებისას, ამხანაგო ჟურნალისტებო!

## რაზე გუგუნებს „ჩვენი საყვირი"

### პატარა გაზეთის დიდი საქმეები

**თუ** შვიდწლედს უდიდეს საბრძოლო ფრონტად წარმოვიდგენთ, მაშინ ცეცხლის ხაზი უთუოდ კომუნისტური შრომის ბრიგადებში გადის.

ცეცხლის ხაზზეა ჩვენი პრესაც, როგორც ყველაზე შორსმსროლელი იარაღი.

საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთი **„ჩვენი საყვირი"** ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, სწორედ იქ არის, სადაც წყდება შვიდწლედის ზღუდეების, მომავლის ზღუდეების აღების ბედი.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა კომუნისტური შრომის ფერხულშია ჩაბმული. ამ ქარხანას სახელი გაუთქვეს მისმა შესანიშნავმა ადამიანებმა, შვიდწლედის მამაცმა ჯარისკაცებმა. აქ შრომობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატი ხარატი ალექსანდრე მარგველაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მჭედელი კონსტანტინე ილურიძე, ნოვატორი ზეინკლები დავით ამირანაშვილი და პავლე ბედენაშვილი...

გაზეთის ფურცლებზე ყოველთვის შეხვდებით ამ ადამიანების და მრავალი სხვა მოწინავე მუშის გვარებს, მათი შრომითი გმირობის ამსახველ მასალებს.

... დადგა შვიდწლედის პირველი წელი. გაზეთი მიულოცავს ქარხნის კოლექტივს ახალ შემართებათა წლის დაბადებას, უსურვებს წარმატებებს მუშაობაში. მოწინავე წერილი ახალი გამარჯვებისაკენ მოუწოდებს შვიდწლედის გმირებს. იგი მკითხველებს ამცნობს, რომ ქარხნის კოლექტივმა გასული წლის გეგმა ერთი თვით ადრე გაანაღდა. ქარხნის 753 მუშამ ერთ წელიწადში წლინახევრის და ორწელიწადნახევრის ნორმები შეასრულა.

გაზეთი ცხოვრობს არა მხოლოდ დღევანდელი დღით. იგი ხვალინდელი დღის სარკმელშიც იყურება. შემთხვევით როდი გამოჩნდა მის ფურცლებზე ცოცხლად დაწერილი მასალა „ისინი დროს უსწრებენ". ამ წერილით ირკვევა, რომ ბევრი მუშის დახლზე 1959 წელი კი არა, 1961 წელი გათენდა. მათ რიცხვში არიან იოსებ მაჩაიძე, აკაკი ახობაძე, იოსებ მამუჩაშვილი, კარლო ნადირაძე... მათ ხომ ერთ წელიწადში სამი წლის ნორმა შეასრულეს. ასე თუ იმუშავეს, შვიდწლიან გეგმას ორწელიწადნახევარში შეასრულებენ. აი შვიდწლედის არითმეტიკა.

„ეს მხოლოდ დასაწყისია", — ამცნობს გაზეთის მორიგი ნომრის მეთაურის სათაური მკითხველებს. მართლაც ეს მხოლოდ დასაწყისია, რომ მექანიკურ-საიარაღო საამქროში ნოდარ ნიკოლაძის ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი მიანიჭეს, რომ გურამ ჭიქავას მჭედელთა ბრიგადა ხუთ დღეში ნახევარი თვის ნორმას ანაღდებს, რომ დიმიტრი ფეიქრიშვილის მექვაბეთა ბრიგადამ იკისრა 3,5 წელიწადში შეასრულოს შვიდწლიანი გეგმა. ეს მხოლოდ დასაწყისია...

„ვიშრომოთ კომუნისტურად, ვიცხოვროთ კომუნისტურად", — ეს ტერმინები მტკიცედ დამკვიდრდა საქარხნო გაზეთის ფურცლებზე. გაზეთი წერს არა მხოლოდ მუშათა შრომაზე, არამედ მათს ცხოვრებაზეც. ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გაზეთმა მოათავსა რიგითი მუშის, მეშვიდე თანრიგის დურგლის ს. ზადიკაშვილის წერილი „ჩემი ოჯახის ბიუჯეტი". იქ ნათქვამია:

**„აი როგორ ცხოვრობს უბრალო საბჭოთა მუშა შვიდწლედის პირველ წელს: ამას წინათ, როცა შვებულებაში მივდიოდი, ბუხჰალტერიამ გამოიანგარიშა, რომ ჩემი საშუალო გამომუშავება შეადგენს თვიურად 1.872 მანეთს. ჩემი უფროსი შვილი — გივი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია, უმცროსი — გუგული — რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეორე კურსისაა. ჩემი ხელფასი და შვილების სტიპენდია ერთად შეადგენს 2.500 მანეთს. ეს კი სავსებით საკმარისია ჩვენი ოჯახისათვის".**

ქარხნის დურგალი უბრალოდ და გასაგებად მოუთხრობს მკითხველებს, რომ მისი შვილები უმაღლეს განათლებას, როგორც წესი, იღებენ სახელმწიფოს ხარჯზე, რომ როცა იგი ავად გახდა, არა მარტო უფასოდ მკურნალობდნენ კარდიოლოგიის ინსტიტუტში, არამედ ორჯერ გააგზავნეს წყალტუბოში. ქარხანამ მას მისცა კეთილმოწყობილი ბინა; შეიძინა ძვირფასი ავეჯი, აქვს პიანინოც. ქარხნის დირექცია ამით არ დაკმაყოფილდა და დაეხმარა მას, რათა ღრმაღელეში გამოეყოთ მიწის ნაკვეთი, სადაც აშენებს საკუთარ სახლს...

გაზეთი დამაჯერებელი ფაქტებით უჩვენებს ერთი ოჯახის პერსპექტივებს შვიდწლედში. და რამდენი ოჯახისთვის, რამდენი ადამიანისათვის მოაქვს ბედნიერება ჩვენს კომუნისტურ მომავალს! ამიტომაც დაიწყო დიადი ლაშქრობა შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ამიტომაც იკისრა სტალინის სახელობის ქარხნის მთელმა კოლექტივმა შვიდწლიანი გეგმის ექვს წელიწადში განაღდება. ბევრია ქარხანაში ისეთი ადამიანი, რომელიც ამ გეგმას უფრო ადრეც შეასრულებს.

აი ამ ადამიანების დიდებაზე, მათი მადლიანი შრომის ბარაქაზე გუგუნებს „ჩვენი საყვირი". საყვირი უხმობს ჩვენს კომუნისტურ მომავალს, ხვალინდელ დღეს...

**სტეფანე არღუნელი.**

## ჩემი სიხარული, ჩემი სურვილები

**ხულითა** და გულით მივესალმები საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობას. ეს კავშირი კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და შემოქმედებითს გახდის მუშსოფლკორთა საქმიანობას.

სოფელში ცოტანი როდი არიან საკოლმეურნეო შრომის ენთუზიასტები. მაგალითად, ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი ადამიანის შრომა ქებისა და განზოგადების ღირსია. სამწუხაროდ, მათზე ცოტა იწერება ახლა, როცა პარტიამ დასახა დიადი შვიდწლიანი გეგმა და მისი ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია მილიონობით მშრომელი. საჭიროა ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად, ცოცხლად და მიმზიდველად იწერებოდეს კომუნიზმის მშენებელ ამ ადამიანებზე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შედეგად სოფლად მუშაობის ახალი ვითარება შეიქმნა. მაგრამ იშვიათად შეხვდებით გაზეთებში ისეთ წერილებს, სადაც გაშუქებული იყოს, თუ როგორ იყენებს კოლმეურნეობა საკუთარ ტექნიკას. ამაში კი ბევრი ნაკლოვანებებია, რომლებიც მოითხოვს მზის სინათლეზე გამოტანას.

ვფიქრობ, ეს მარტო ჩემი სურვილები არ არის და ისინი გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩვენი ჟურნალისტების შემდგომ მუშაობაში.

**თედო ჩუხრუკიძე,**
სოფლკორი. გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვება".

## ისევ ისეთი...

### მოგონების ერთი ფურცელი

**მეოთხედი** საუკუნის წინათ ერთი თხელი ჟურნალის გატაცებული მკითხველი ვიყავი. „ზა ტემპ ი კაჩესტვო ინფორმაციი" ერქვა მას. მოუთმენლად ველოდი მისი ყოველი ახალი ნომრის მიღებას. გამოდიოდა ასეთი ნაბეჭდი ბიულეტენი მაშინ მოსკოვში, საკავშირო დეპეშათა სააგენტო სცემდა. რუსული შრიფტით დაბეჭდილი ჩემი გვარი პირველად ამ ჟურნალში ვნახე. ვაცქერდებოდი, ვეკვირდებოდი იმ რაღაც ერთიოდე სანტიმეტრიან ადგილს, რაც ჩემს ინიციალსა და მოკლე გვარს ეჭირა, ვერ ვძლებოდი ცქერით, თითქოს ამ პატარა ადგილიდან საცხოო სანახაობათა კინოლენტი დატრიალებულიყო. ეს ბუნებრივი განცდა იყო მაშინდელი პროვინციელი ჭაბუკი ჟურნალისტისათვის, მით უფრო, რომ ეს გვარი ცუდ კონტექსტში არ იყო.

გამოვეთხოვე ცოტა ხნით ამ გვერდს და გადავფურცლე ჟურნალი. ერთი გვერდი, ორი... ბიჭოს! ქართველზე; აგერ, მთელი ცალკე წერილია — „მ. დავითაშვილის კორესპონდენციების ტემპი და ხარისხი". აქებდნენ მას. ეს გვარი ჩემთვის ადრეც იყო ნაცნობი, ქუთაისიდან იბეჭდებოდა. ვინ იცის რომელ გაზეთში, არა, ისიც ვიცოდი, რომ „რიონჰესის დამკვრელში" მუშაობდა, ერთდროულად იყო „ადს"-ის (ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო) კორესპონდენტი. ეს უკანასკნელი იქიდან ვიცოდი, რომ მსგავს მოვალეობას რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობის პარალელურად მეც ვასრულებდი მაშინდელი სენაკიდან, და „ადს"-ის ბიულეტენებში ხშირად ერთად ხვდებოდა ჩვენი გვარები.

ჟურნალის „ზა ტემპ ი კაჩესტვო ინფორმაციის" ახალ ნომერში ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „...საუკეთესო მუშაობისათვის საქართველოდან მოსკოვში, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ერთწლიან სკოლაში სასწავლებლად იგზავნებიან ქუთაისელი კორესპონდენტი მ. დავითაშვილი და სენაკელი...".

სკოლაში სწავლა, წარმოიდგინეთ, ამ სასიხარულო ამბის გაგებიდან ორი თვის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. გამიტყდა ძილი, დღე თვედ მექცა, თვე — წელიწადად... მაგრამ დადგა ეს დღეც.

ჩამოვედი თბილისში და გავეშურე „ადს"-ისაკენ, რუსთაველის პროსპექტზე. დირექტორის მისაღებ ოთახში ერთი საშუალო ტანის, შავგვრემანი, თმახუჭუჭა ყმაწვილი ვნახე. მოუთმენლად ბოლთას სცემდა ოთახში და მიღებას ელოდა. მეც.

— ერთმანეთს არ იცნობთ? — შემოგვხედა ცოტა ხნის შემდეგ მაგიდასთან მჯდომმა მდივანმა ქალმა, რაკი შეატყო, რომ ჩვენ უცხოებად გვეჭირა თავი. — დავითაშვილი, — მანიშნა ხელით იმ ახალგაზრდაზე, იმას კი — ჩემზე...

ბუთხუზა ბიჭივით იყო, ძალიან ახალგაზრდა მეჩვენა, მინდოდა მოვეფერებოდი, მაგრამ მან ალბათ უფრო პატარად ჩამთვალა, ხელი მხარზე დიდი კაცივით გადამდო და მკითხა:

— შენ ხარ, ბიჭო, ის?

დირექტორმა გულთბილად მიგვიღო, დაგვარიგა, გვესაუბრა და ორი დღის შემდეგ დაგვიბარა მივლინების გასაფორმებლად. გამოვედით გახარებულნი. მე იქვე ახლოს, ლუნაჩარსკის ქუჩაზე გადავუხვიე, შევიარე „კოლექტივიზაციის" რედაქციაში. ორიოდე ნარკვევი მქონდა იმ ხანებში დაბეჭდილი, და ახლის ბედი მაინტერესებდა.

— თუ შეიძლება რედაქტორი ვნახო? — ვკითხე მდივან ქალს.

— მოვახსენებ. დაიცადეთ. გვარი?

რედაქტორი მაშინ იყო აკაკი ჭყონია. ჩვენ, ძველი თაობის ჟურნალისტებს, არ გვეპატიება თავისი დროისთვის ისეთი დიდი ერუდიციის და ნათელი გონების ჟურნალისტის მივიწყება, როგორიც აკაკი ჭყონია იყო. მის ნაწერებს დღესაც აქვთ ფასი.

ჩვენს შეხვედრას წინ უძღოდა ასეთი რამ: რამდენიმე დღის წინ მას სწვევია ჩვენი რაიონიდან წამოსული ჟურნალისტი, რომელიც „კომუნისტში" მოღვაწეობდა. სწორედ მაშინ ჭყონიას წინ სდებია ჩემი ნარკვევი და ჩემ შესახებ სტუმრისათვის უკითხავს — იცნობ? ის ჩვენებური კაცი ცოტა ოხუნჯი იყო და უთქვამს: როგორ არ გახსოვთ, „დროებაში" რომ თანამშრომლობდაო, მერე მიანება თავი, მოხუცია ახლაო.

— შედი! — მითხრა მდივანმა ქალმა, და მეც გულისკანკალით, არ ვიცი მაშინ გაფითრებული ვიყავი თუ გაწითლებული, მორცხვად შევაღე კარი.

ჭყონია, საშუალო ტანის, ჩამკვრივებული, ხორბლისფერი სახის, ოდნავ მელოტი, სიმპათიური, იდგა მაგიდაზე ორივე ხელით დაყრდნობილი და კარისკენ ღიმილით იყურებოდა. მე რომ დამინახა, სახე შეეცვალა. წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება — მოხუცს ელოდა, ყმაწვილი კაცი კი აებუზა წინ.

გულთბილად მიმიღო. მესაუბრა. მოსკოვის ამბავი რომ ვუთხარი, გაუხარდა:

— კარგია. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი იქნები მოსკოვიდან.

— მივდივართ, აბა, ფედერაციის მოედანზე, ქალაქის სადგურში ბილეთებს ვიღებთ და, ხვალ, ჰერი, მოსკოვისაკენ!.. — მეუბნება აღფრთოვანებული მიშა. მკლავში ხელს მიყრის და მეწევა ტრამვაის გაჩერებისაკენ, „ზარიას" პირდაპირ...

მე კი... მე ველარ მივდივარ, უცაბედად შეიცვალა ჩემი მდგომარეობა — ამბავი მომივიდა შინიდან...

— ...მოიცა, მიშა, — ძლივს ვეუბნები და კრიჭა მეკვრის.

— რა დროს მოცდაა, მოვიდა ტრამვაი...

... გაემგზავრა იგი მოსკოვს, სასწავლებელში. მე დავრჩი.

ველარ ვიცანი იგი ერთი წლის შემდეგ დაბრუნებული — დავაჟკაცებულა, გამოწრთობილა. ორიოდე იქაური გაზეთიც მიჩვენა, რომლებშიც მისი წერილი იყო დაბეჭდილი.

გადის დრო. მიხეილ დავითაშვილი რესპუბლიკაში სულ უფრო და უფრო ცნობილი ჟურნალისტი ხდება. გიზიდავს მისი წერის მანერა, ოპერატიულობა, დაკვირვებულობა, ენერგია. შემთხვევითი როდია, რომ იგი მრავალი, მრავალი კარგი ნარკვევის, წერილის, რეპორტაჟის ავტორია, რამდენიმე წიგნის ავტორია. აი სულ ახლა, ჩვენი ყრილობის გახსნის წინ გამოვიდა კიდევ ერთი მოზრდილი წიგნი — „ქართული ბარაქა". ეს მიხეილის ბარაქაც არის. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის მოსავალია.

ნუ დაგაფიქრებს, მკითხველო, რომ ეს პატარა ამბავი „მეოთხედი საუკუნით" დავიწყე. მიხეილ დავითაშვილი თითქმის ისევ ისეთია, ყოველ შემთხვევაში ჩემს თვალში, როგორიც იგი გავიცანი პირველად — ისევ ისეთი ახალგაზრდა, ენერგიით და ჟურნალისტური სიცოცხლით აღსავსე, მხოლოდ მცირე ცვლილებაა — შავი, გრუზა, ხუჭუჭი თმა ცოტათი შევერცხლილი აქვს, ცოტათი უფრო სოლიდურია, და კიდევ... იგი ნატყვიარია, იმ დროისა, როცა დიდი სამამულო ომის ფრონტზე მან — ბატალიონის კომისარმა, ქერჩთან, კალამი ხიშტით შესცვალა.

**ვლადიმერ თორდუა.**

## როგორ წარმოებდა ეს საუბარი

**ლ. გოგუცკაია,**
სკკპ წევრი 1918 წლიდან.

**ვ. ი. ლენინის** თხზულებათა კრებულის 27-ე ტომში დაბეჭდილია მოკლე გადმოცემა ვლადიმერ ილიას-ძის საუბრისა სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტიის" თანამშრომელთან „მემარცხენე" ესერების აჯანყების გამო.

და აი სწორედ, მე მინდა გიამბოთ, როგორ წარმოებდა ეს საუბარი.

...1918 წლის ზაფხულია. ქვეყანა მოქანცულია ოთხი წლის იმპერიალისტური ომით. შიმშილობაა. რღვევაა. მძვინვარებს პარტახტიანი ტიფი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში ყოველ ნაბიჯზე კონტრრევოლუციური შეთქმულებები ეწყობა. ხოლო იგი, საბჭოთა რესპუბლიკა, მაშინ ცხრა თვისაც არ იყო!

ასეთ ვითარებაში მოსკოვში, დიდ თეატრში, შეიკრიბა საბჭოების V სრულიად რუსეთის ყრილობა. მე იმ დროს სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტიის" კორესპონდენტი ვიყავი და ყრილობას ვესწრებოდი.

„მემარცხენე" ესერები ყრილობაზე გამოცხადდნენ აშკარა განზრახვით — ჩაეშალათ იგი. ისინი ცდილობდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ ომში ჩაეთრიათ რესპუბლიკა. „ძირს ბრესტის ზავი! ძირს ღარიბთა კომიტეტები!" — გაჰყვიროდნენ ისინი ბოლშევიკი დელეგატების გამოსვლების დროს. ყრილობის თავმჯდომარე ი. მ. სვერდლოვი ძლივს უძღვებოდა სხდომას. მოულოდნელად მან გააკეთა რიგგარეშე განცხადება:

— დღის სამ საათზე თავს დაესხნენ გერმანიის ელჩს გრაფ მირბახს. მირბახი მოკლულია.

მირბახის პროვოკაციული მოკვლა „მემარცხენე" ესერთა ამბოხების დასაწყისი იყო...

რედაქციის მითითებით მე მომიხდა სასწრაფოდ დამეწყო მეამბოხეებთან ბრძოლის შესახებ მასალის შეკრება. ყრილობის სხდომის დარბაზიდან მოსკოვის ქუჩებში გამოვედი და მათს იერში უნებურად რაღაც სიახლე, დაძაბულობა ვიგრძენი. განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლება იყო პოკროვის ბულვარზე. აქ, ჩვეულებრივად მყუდრო ტრიოხსვიატიტელსკი შესახვევში (ახლა ბ. ვუზოვსკი შესახვევი), დაიმალა მირბახის მკვლელი „მემარცხენე" ესერი ბლიუმკინი. აქვე, ყოფილ მოროზოვის სახლში, იყო „მემარცხენე" ესერთა შტაბი. მათ უკვე დაიწყეს კომუნისტების დაპატიმრება მათი შტაბის მომიჯნავე რაიონში. ამხანაგი ძერჟინსკი ვერაგულად დაატყვევეს იმ მომენტში, როცა იგი „მემარცხენე" ესერების რაზმის შენობაში მივიდა. პოკროვის კართან მეამბოხეებმა სანგრები ამოთხარეს და ქვემეხები დადგეს, ერთ-ერთი მათგანი კრემლზე იყო დამიზნებული.

როცა ჩემს რედაქციამდე მივაღწიე — იგი მოთავსებული იყო ტვერის ქუჩაზე იმავე სახლში, სადაც „პრავდა" იყო, — იქ უკვე მიიღეთ შემაშფოთებელი ცნობები: კრემლის ეზოში ყუმბარები დაეცა, მეამბოხეებმა მოახერხეს 2 საათით ხელში ჩაეგდოთ ტელეგრაფი და დაეგზავნათ რამდენიმე ანტისაბჭოთა დეპეშა. ღამით მოვიდა მთავრობის ცნობა იმის შესახებ, რომ „...საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც სრულიად რუსეთის ყრილობის ნებას ეყრდნობა, მიიღო ყველა საჭირო ღონისძიება უბადრუკი, უაზრო და სამარცხვინო ამბოხების ჩასაქრობად..."

მაგრამ აი გაზეთი უკვე დაკაბადონებულია და გაშვებულია მანქანაზე. რედაქციაში კიდევ ვიყავით ინფორმაციის განყოფილების რედაქტორი ძველი ბოლშევიკი ა. ანტონოვი და მე. მოულოდნელად ვ. ი. ლენინი შემოვიდა. მას საყელოაწეული მუქი საზაფხულო პალტო ეცვა და კეპი ეხურა. ვლადიმერ ილიას-ძე სწრაფი ნაბიჯით გაემართა ანტონოვისაკენ, რომელიც ფეხზე წამოდგა და იხე შეეგება. ლენინი მოგვესალმა. როგორც კი მან ლაპარაკი დაიწყო, მე, გაზეთის მუშაკის ჩვეულებისამებრ, მაშინვე შევეცადე ყველაფერი ჩამეწერა.

— აი, პოზიციები ჩამოვიარე! გავსრესთ ამ ისტერიკიან უბედებს! დახე რა მოინდომეს: ომში ჩაგვითრიონ! მე თვითონ და მრავალ ამხანაგს მოგვიხდა ამბოხების დღეს მოგვესმინა „მემარცხენე" ესერების წინააღმდეგ უძლიერესი აღშფოთების გამოხატულება მოსახლეობის ყველაზე ბნელი ფენების მხრივაც კი. უბირი, უცოდინარი დედაბერი აღშფოთებით ლაპარაკობდა მირბახის მოკვლის გამო: „დახე, წყეულნი, მაინც გადაგვჩეხეს ომში!".

ლენინი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ამალამვე მოვახდენთ ამ ავანტიურის ლიკვიდაციას და ვეტყვით ხალხს მთელ სიმართლეს, რომ ბეწვზე ვართ ომისაგან. ყველა, ვინც ომის წინააღმდეგია, ჩვენ დაგვიჭერს მხარს.

ლენინი მხნედ, ენერგიულად იყო. უცნაურიც კი გვეჩვენებოდა, რომ, თუმცა ასე გვიან იყო, სახეზე ოდნავი დაღლილობა არ ემჩნეოდა. ოც-ოცდახუთ წუთს გვესაუბრა, შეგვაქო. რედაქციიდან რომ არ მივდიოდით, სანამ ვინმე არ შეგვცვლიდა.

ანტონოვმა ვლადიმერ ილიას-ძეს სთხოვა ნება დაერთო მასთან საუბრის ჩანაწერი გაზეთის იმ ნომერში დაებეჭდა, რომელიც უნდა გამოსულიყო. ილიჩმა ჩემკენ გამოიხედა, ხედავდა, მის სიტყვებს რომ ვიწერდი, როგორღაც ალერსიანად, გამამხნევებლად გაიღიმა და გვითხრა: „კარგი! სინჯეთ და ტელეფონით წამიკითხეთ".

ვლადიმერ ილიას-ძე რომ წავიდა, ანტონოვს ვაჩვენე ლენინთან საუბრის ჩანაწერი. ეს ჩანაწერი ტელეფონით წავუკითხეთ ვლადიმერ ილიას-ძეს. მან მოიწონა. მაგრამ 7 ივლისის გაზეთში საუბრის მოთავსება უკვე გვიან იყო. ნომერი იბეჭდებოდა. რა გვექნა? გადავწყვიტეთ საუბარი 7 ივლისის ნომრის დამატებად გამოგვეცა, 8 ივლისს კი გაზეთში დაგვებეჭდა.

დილით ადრე ფანჯარა გავაღე. მოსკოვის ქუჩებში სროლა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო. უცებ ჩვენი ყურადღება მიიპყრო მოტოციკლის ხმაურმა რედაქციის ეზოში. ერთი წუთის შემდეგ ოთახში, სადაც ჩვენ ვმუშაობდით, შემოვიდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ამხანაგი და კალათა გამოგვიწოდა:

— ეს კრემლიდან გამოგიგზავნეს.

კალათაში პური და კონსერვები იყო. ისინი გამოეგზავნა ვლადიმერ ილიას-ძეს, რომელსაც ისეთ მომენტშიც კი, როცა იგი პირადად ხელმძღვანელობდა „მემარცხენე" ესერთა ამბოხების ლიკვიდაციას, არ დავიწყებოდა „იზვესტიის" თანამშრომლები, რომლებმაც მთელი ღამე იმუშავეს. ეს კი იმ დროს იყო, როცა კრემლის მუშაკებს ხშირად სტკენიათ გული იმის გამო, რომ მათ შეეძლოთ ვლადიმერ ილიას-ძისათვის საუზმედ მხოლოდ ჭიქა ჩაი მიეტანათ, უპუროდაც კი...

აი როგორ წარმოებდა ეს საუბარი, რომლის მოკლე ჩანაწერი დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 27-ე ტომში.

## ქართველ ჟურნალისტთა ახალი წიგნები

საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობისათვის ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა ნარკვევებისა და ფელეტონების კრებულები (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა). კრებულებში დაბეჭდილია ჩვენი ჟურნალისტების მიერ პერიოდულ პრესაში წინათ გამოქვეყნებული საუკეთესო ნარკვევები და ფელეტონები.

რუსულ ენაზე გამოვიდა აგრეთვე მიხეილ დავითაშვილის ნარკვევების წიგნი „ქართული ბარაქა" და „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქტორის ვლადიმერ მარდანიძის „ექვს ქვეყანაში".

წიგნები დასაბეჭდად მოამზადა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს საგამომცემლო ბიურომ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი შემდგომშიც პერიოდულად გამოსცემს კრებულებს სხვადასხვა საგაზეთო ჟანრების მიხედვით.



დადგა დრო ბოლო მოეღოს ცივ ომს

# ყოველი მხრიდან

გულთბილი მიღება ინდოეთში

ტყვიის ტვირთი, რომლისგანაც იტალია უნდა განთავისუფლდეს

ეიზენჰაუერს არ მოსწონს ინგლის-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის შესაძლო დადება

## უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამო

უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე.

ჩინეთის გაზეთები „ჟენმინ ჟიბაო“, „გუანმინ ჟიბაო“, „დაგუნბაო“, „გუნჟენ ჟიბაო“ და სხვები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ ხრუშჩოვის სიტყვის დაწვრილებით შინაარსს. „საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს ომის საფრთხის ასაცილებლად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავდასხმა ომის დაწყების მომასწავებელი იქნება“, — ხაზს უსვამს სათაურში გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“. „მთავრობათა მეთაურების თათბირი რეალური ნაბიჯია დაძაბულობის შესანელებლად“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს სიტყვის შინაარსს გაზეთი „გუანმინ ჟიბაო“. „საბჭოთა კავშირი იბრძოლებს ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა მთავრობა მზად არის დადოს ინგლისთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება“, — წერს დასასრულ გაზეთი „დაგუნბაო“.

გაზეთები განსაკუთრებით გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხს ახლა არა აქვს იმაზე დიდი ამოცანა, ვიდრე არის განხორციელება კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამისა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ შეიმუშავა, და რომ საბჭოთა ხალხი იბრძოლებს იმისათვის, რომ გაიწმინდოს საერთაშორისო ატმოსფერო ომის საფრთხისაგან.

პოლონეთის საზოგადოებრიობა უაღრესად ცხოველი ინტერესით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე ვეებერთელა სათაურებით „სსრ კავშირი წინადადებას იძლევა მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შესახებ“, „არავის მივცემთ ნებას დაარღვიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უფლება“, „გაერთიანება თვითონ გერმანელების საქმეა“, „წინადადება დიდ ბრიტანეთთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ“ — გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ვრცელი ნაწყვეტები. გაზეთები ხაზს უსვამენ იმას, რომ საბჭოთა ხალხის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ახლა არის რეალიზაცია კომუნიზმის მშენებლობის პროგრამისა, რომელიც დასახა კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ. კრემლში ამომრჩეველთა წინაშე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის ნაწყვეტები არაერთგზის გადასცა პოლონეთის ცენტრალურმა რადიომ.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოსაზრებებმა გერმანიისა და ბერლინის საკითხებზე, რომლებიც გამოთქმულია მის სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და პრესის უდიდესი ყურადღება მიიპყრეს. ბერლინის დემოკრატიული გაზეთები მიესალმებიან ამ მოსაზრებებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ეს მოსაზრებანი მიაჩნია იმის კიდევ ერთ დადასტურებად, რომ საბჭოთა მთავრობა ნამდვილად ისწრაფვის შეუწყოს ხელი საარსებო საერთაშორისო პრობლემების და უწინარეს ყოვლისა მთელი გერმანიისა და ბერლინის საკითხების გადაჭრას, დაეხმაროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და გერმანელი ხალხის პროგრესულ ძალებს გერმანელი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწვრილებითი შინაარსი გამოაქვეყნეს უნგრეთის გაზეთებმა. „მადიარ ნემზეტი“ და „ნეპსავა“ სიტყვის შინაარსის სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას ხელს შეუწყობდა მთავრობათა მეთაურების შეხვედრა და არა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. გაზეთ „მადიარ ნემზეტს“ მოკლე კომენტარებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ასეთი თვალსაზრისი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე ჩვენი დროის მეტად დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია.

ბეჭდავენ რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსს, კაიროს გაზეთები გამოჰყოფენ იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობაზე. გაზეთი „ალ-აჰრამი“ პირველ გვერდზე დიდი სათაურით წერს, რომ მშვიდობისადმი მტრულად განწყობილი ძალების ცდები გაეთიშათ საბჭოთა კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ჩაიფუშა. „ალ-აჰრამი“ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას უძღვნის სარედაქციო სტატიას, რომელშიც ხაზგასმულია: „ყველასათვის ნათელია, რომ ჩვენს ორ ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური სისტემა არსებობს. მაგრამ ყველასათვის აშკარაა აგრეთვე, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობაა. ამიტომ იმპერიალისტური პროპაგანდის ღონისძიებანი, ძირი გამოეთხარათ ამ ურთიერთობისათვის, ჩაიშალა. ცდები, რომ გამოეყენებინათ ჩვენი სოციალური სისტემების განსხვავება, რათა უთანხმოება გამოეწვიათ ჩვენს შორის, წარმატებით არ დაგვირგვინდა. სიმართლემ გაიმარჯვა“.

ინგლისური პრესა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას უკავშირებს პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანის მოლაპარაკებას. გაზეთმა „ივნინგ სტანდარდმა“ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ ცნობა დაბეჭდა სათაურით „ხრუშჩოვი ინგლისს სთავაზობს პაქტს 20 წლის ვადით“. გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ სათაურში ამბობს: „ხრუშჩოვი მოუწოდებს მშვიდობისადმი“. გაზეთები გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ინგლისსა და ყველა ქვეყანასთან, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დადგა დრო ბოლო მოეღოს ცივ ომს და შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, როცა ყველა ხალხი მეგობრულად იცხოვრებს. გაზეთები გამოჰყოფენ აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის მოსაზრებას გერმანიის საკითხზე.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ინგლისური გაზეთის კომენტარები მოწმობენ, რომ ინგლისის გარკვეული წრეები არ არიან დაინტერესებული იმით, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოსკოვში გამგზავრებას მოჰყვეს მშვიდობის საქმისათვის ნაყოფიერი შედეგები. ეს გაზეთები დაჟინებით არწმუნებენ თავიანთ მკითხველებს, როგორც ამას, მაგალითად, „დეილი მეილი“ სჩადის, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ინგლისის დელეგაციისათვის „უსიამოვნო დარტყმა იყო“. რატომ? — გაზეთები, ბუნებრივია, ამას არ განმარტავენ. ხომ არ შეიძლება სერიოზულად მივიღოთ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მზადყოფნა დადოს დიდ ბრიტანეთთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება თითქოს „ძნელ მდგომარეობაში“ აყენებს მაკმილანს და თითქოს „გამიზნული მახეა“, როცა მთელი ინგლისური პრესა აცხადებს, რომ ერთი წლის წინათ მაკმილანმა აზრი გამოთქვა ასეთი ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ.

25 თებერვალი. (საქდესი).

### საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის ერთთვიური

**ბუდაპეშტი,** 24 თებერვალი. (საქდესი). უნგრეთის მშრომელებში დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურმა, რომელიც აქ მიმდინარეობს. მთელი უნგრეთის საწარმოებში, სოფლებსა და სასწავლებლებში ეწყობა მრავალი საუბარი და ლექცია, მიძღვნილი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომისადმი, ლიტერატურული და მხატვრული საღამოები, მეგობრული შეხვედრები საბჭოთა ადამიანებთან.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ საუბრები საბჭოთა კავშირის შვიდწლიანი გეგმის შესახებ, საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა და გრანდიოზული პერსპექტივების შესახებ.

საბჭოთა წიგნის დღესასწაულის გამო უნგრეთის წიგნის მაღაზიებმა მიიღეს რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის დაახლოებით 200 ნაწარმოები, თარგმნილი უნგრულ ენაზე.

### საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ინდოეთში

**დელი,** 25 თებერვალი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ, რომელშიც შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა და სხვები, ვიზიტი გაუკეთა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ რაჯენდრა პრასადს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ პრეზიდენტ რაჯენდრა პრასადს გადასცა გულითადი სალამი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისაგან.

პრეზიდენტმა პრასადმა გულწრფელი მადლობა უძღვნა კ. ე. ვოროშილოვსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მეგობრული სურვილებისათვის.

**დელი,** 25 თებერვალი. (საქდესის კორ.). დღეს დილით საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია „მრეწველობის სახლში“ შეხვდა ინდოეთის მთავრობის საგეგმო კომისიის წევრებს.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრას დაესწრნენ დელეგაციის წევრები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა და სხვები.

ინდოეთის მხრივ შეხვედრას დაესწრნენ საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ტ. კრიშნამაჩარი, კომისიის წევრები — შრომისა და დაგეგმვის მინისტრი გულზარილალ ნანდა, თავდაცვის მინისტრი კრიშნა მენონი და სხვები.

საგეგმო კომისიისა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საქმიანი საუბარი.

საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ტ. კრიშნამაჩარიმ ილაპარაკა ინდოეთის მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესახებ, აგრეთვე მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მიმართულების შესახებ.

ა. ა. ანდრეევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სურს ინდოეთის სწრაფი ეკონომიური პროგრესი და, როცა ამ პროგრესს ხელს უწყობს, საბჭოთა ხალხი მხოლოდ ასრულებს თავის ძმურ მოვალეობას დიდი ინდოელი ხალხის მიმართ.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებმა ა. ა. ანდრეევმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა და მ. ი. კუჭავამ ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის ახალი შვიდწლიანი გეგმის შესახებ.

დასასრულ ა. ა. ანდრეევმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები მოხარული არიან, რომ შეხვდნენ ინდოეთის საგეგმო კომისიის წევრებს, რომელსაც მეთაურობს პირადად პრემიერ-მინისტრი ნერუ, რომელიც საბჭოთა ხალხის დიდი პატივისცემით სარგებლობს.



ქუთაისის კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკი ზამთრის სამოსელში.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

### ადენაუერი პარიზს მიემგზავრება

**ბონი,** 25 თებერვალი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ეკარდტმა დღეს პრესკონფერენციაზე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 4 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი მიემგზავრება პარიზს, რათა მოლაპარაკება გამართოს საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან. ადენაუერთან ერთად მიემგზავრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრენტანო.

ჟურნალისტთა შეკითხვების პასუხად მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება გაიმართება საფრანგეთის მთავრობის სურვილით. მოლაპარაკების ძირითადი თემაა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი, მაგრამ განიხილავენ აგრეთვე ეკონომიურ საკითხებსაც.

### სენიის განცხადება იტალიის მთავრობის პროგრამის შესახებ

**რომი,** 25 თებერვალი. (საქდესი). გუშინ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სენიი გამოვიდა დეპუტატთა პალატაში, ხოლო შემდეგ სენატში და ჩამოაყალიბა ქრისტიან დემოკრატთა ახალი ერთპარტიული მთავრობის პროგრამა. შეეხო რა საგარეოპოლიტიკურ საკითხებს, მან დაადასტურა მთავრობის ერთგულება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისადმი და გასაგებად თქვა, რომ მთელი მისი პოლიტიკა განისაზღვრება ამ ბლოკის ინტერესებით. სენიი ამტკიცებდა, რომ ამჟამად საერთაშორისო ვითარება გამწვავდა თითქოს საბჭოთა კავშირის პოზიციის გამო.

შეეხო რა საშინაო პოლიტიკის საკითხებს, სენიიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არახელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა, რაც უმუშევრობის შედეგია, ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს იტალიაში. სენიიმ აღუთქვა, რომ მთავრობა განახორციელებს „საზოგადოებრივ სამუშაოთა ფართო პოლიტიკას“, აგრეთვე განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარი კერძო ინიციატივას.

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ტოლიატიმ, რომელსაც „ჩამპინო პრესის“ სააგენტომ სთხოვა აზრი გამოეთქვა სენიის სიტყვის შესახებ, განაცხადა, რომ ეს სიტყვა „უფერულია არსებითად, მიუხედავად იმისა, რომ მასში ყველაფერზეა ლაპარაკი“. აღნიშნა რა, რომ სენიიმ არაფერი თქვა სოციალ-დემოკრატებთან ქრისტიან დემოკრატთა კავშირის გაწყვეტისა და ქრისტიან დემოკრატთა პარტიის მდივნის პოსტიდან ფანფანის წასვლის შესახებ, ტოლიატიმ განაცხადა, რომ ეს „განზრახ დუმილი კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს ქრისტიან დემოკრატთა პარტიის კრიზისის სიღრმეს“. შეეხო რა სენიის სიტყვის საგარეოპოლიტიკურ ნაწილს, ტოლიატიმ განაცხადა: „უცხოეთის ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში და ატლანტიკის პოლიტიკა მისი უკიდურესი გამოხატულებით ის ტყვიის ტვირთია, რომელიც ხელს უშლის პროგრესული განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას და რომლისგანაც უნდა გავთავისუფლდეთ“.

### ნადირობა მგლებზე

ამ დღეებში ჯავის მონადირეებმა შეიტყეს რომ 10-12 მგლისაგან შემდგარი ხრო დაეცა სოფელ ნოგაყაუს, ჯრიას და ბარსს — მგლებმა კოდიბინის ხევში დახოცეს და დაჭრეს ძროხები, ცხენები...

ამ ცნობის მიღებისთანავე მონადირეებმა ვ. თედეევმა, ფ. ქარსანოვმა, ხ. ქარსანოვმა, ჩ. გასიევმა, ო. თედეევმა, რ. სანაკოევმა და სხვებმა — სულ 10 კაცმა გასწიეს ბარს — კოდიბინისაკენ.

ბარს — კოდიბინას გარს შემოერტყნენ მონადირეები. დაინაწილეს ადგილები, განაბულნი ელოდნენ მხეცების გამოჩენას. აი ნაძვნარიდან 100-120 მეტრის მანძილზე მოისმა ხმაური, უცებ გამოჩნდა მოზრდილი ყვითელ-მონაცრო ფერის მგელი. იგი შეჩერდა, კიდევ გამოირბინა, მაგრამ გასროლილმა ტყვიამ დააგდო თოვლზე. დაჭრილი მგელი გაქცევას აპირებდა, დაეშვა მდელოსაკენ. ომარ თედეევი, რომელმაც პირველად ესროლა, არ დაიბნა. ისიც დაექანა ფერდობზე, მგელს გზა გადაუჭრა და მეორე სროლით ადგილზე დატოვა. ჩერმენ გასიევს მეორე მგელმა 60-70 მეტრზე ჩამოურბინა. გასროლილი ტყვია მგელს მკერდში მოხვდა, იგი მაინც მირბოდა. მეორე გასროლამ ძირს დასცა იგი. ერთი მგელი ზაურ ქარსანოვმა მოკლა.

სამი მგლის ტყავი მონადირეებმა ჩააბარეს მიმღებ პუნქტს ჯავაში. ნადირობა გრძელდება.

**ვ. თედეევი,**
მონადირეთა ჯგუფის წევრი.

## ხელოვნების ქრონიკა

### „სიხარულის ძიებაში“

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა ნორჩ მაყურებლებს უჩვენა ვ. როზოვის პიესა „სიხარულის ძიებაში“. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა კ. სურმავამ, მხატვრობა ეკუთვნის შ. ქორქოლაძეს, მუსიკა — გ. ციციშვილს. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ერგნელი, მსახიობები შ. დალაქიშვილი, გ. რევაზიშვილი, რ. აბულაძე, ც. ქიტიაშვილი, ლ. ძიგრაშვილი.

### ახალი დადგმები

სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ ოსური და ქართული კოლექტივები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას. მოკლე ხანში მათ რამდენიმე ახალი დადგმა განახორციელეს. ოსურმა დასმა მაყურებელს უჩვენა ოსი დრამატურგის მ. შავლოხოვის „სასიძო“, დ. ტემირაევის „შურისმგებლები“, გ. ხუგაევისა და რ. ხუბეცოვას „სოფიოს სიმღერა“. ქართულმა კოლექტივმა წარმოადგინა ლ. ჭუბაბრიას „ამხანაგები“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“. დიდი წარმატება ხვდა ამ კოლექტივის ახალ დადგმას „ფიგაროს ქორწინებას“.

### „კიკვიძე“ სკოლის სცენაზე

ქუთაისის ვ. მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივმა ამ დღეებში სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე დადგა ვ. დარასელის ცნობილი პიესა „კიკვიძე“. მოსწავლეთა სპექტაკლის დადგმა განახორციელა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გ. კობახიძემ. ნორჩმა მსახიობებმა ა. ქაჯაიამ, ვ. ოყურეშიძემ, რ. რუხაძემ, გ. სვანიძემ, ი. მარდალეიშვილმა, მ. ჭეიშვილმა, ჯ. საკანდელიძემ და სხვებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს. (საკ. კორ.).

### კულტურის სახლში

ცხაკაიას რაიონული კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა ო. რაზმაძისა და ნ. მახარაშვილის პიესა „საქმროების არჩევანში“. სპექტაკლი დადგა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნ. დადიანმა. როლებს ასრულებდნენ ნ. დადიანი, ვ. ერემაძე, ქ. ჩახავა, შ. ლომია, ბ. ბაბუციძე, ლ. შამათავა. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. („კომუნისტის“ კორ.).



კოლონადა გაგრის კულტურისა და დასვენების სანაპირო პარკის შესასვლელთან.

რედაქტორი
**დ. მეძღვრიშვილი.**




ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ხანოიში და ვიეტნამის სხვა ქალაქებში გაიმართა მიტინგები და დემონსტრაციები იმ დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რაც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა ფუ-ლოის საკონცენტრაციო ბანაკში ჩაიდინეს.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია ხანოიში.

ფოტო ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოსი.

## საჰარაში საფრანგეთის რაკეტების გამოცდის წინააღმდეგ

**პარიზი,** 25 თებერვალი. (საქდესი). ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების საზოგადოებრიობა მეტად შეშფოთებულია იმის გამო, რომ საჰარაში, კოლომბ-ბეშარის რაიონში, გრძელდება რაკეტული იარაღის გამოცდა. პრესის ცნობით, მაროკოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ტაიბი ბენ ჰიმამ გუშინ საფრანგეთის ელჩს რაბათში პაროდის გადასცა საპროტესტო ნოტა კოლომბ-ბეშარში რაკეტული იარაღის გამოცდის წინააღმდეგ.

მაროკოს გაზეთმა „ალ-აჰდ ჯადიდმა“ გუშინ დაბეჭდა მოწინავე სტატია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „მაროკოს საჰარა გამოსაცდელი პოლიგონი, ნამდვილი სამხედრო ბანაკი გახდა, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისათვის... მაგრამ ეს არაფერს არ მოუტანს საფრანგეთს და საშუალებას არ მისცემს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები მაროკოს საჰარის ტერიტორიაზე, რომლის მცხოვრებნი მაროკოელნი არიან და არ სურთ მოშორდნენ თავიანთ სამშობლოს, თუნდაც მათ ემუქრებოდნენ რაკეტებითა და ატომური ბომბებით“.

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

**ვაშინგტონი,** 25 თებერვალი. (საქდესი). დღევანდელ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ჰკითხეს, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ქალაქ მოსკოვის კალინინის ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ნ. ს. ხრუშჩოვის უკანასკნელი გამოსვლის მიხედვით, შეერთებული შტატებისათვის, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება მისაღები იყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი. უპასუხა რა ამ კითხვაზე, ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის „შეურიგებლობას“, რომელიც თითქოს „უკვე დიდი ხანია ცნობილია“, მხოლოდ ხაზი გაესვა მის უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც წარმოთქმულია იმ მომენტში, როცა პრემიერ-მინისტრი ჰ. მაკმილანი მოსკოვს ჩავიდა იმ მიზნით, რომ, ეიზენჰაუერის სიტყვით, შექმნა საბჭოთა კავშირთან დასავლეთის მოლაპარაკების ხელშემწყობი ატმოსფერო. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, როგორც ეიზენჰაუერი ამტკიცებს, არ უწყობს ხელს ასეთი ატმოსფეროს შექმნას. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ერთადერთი ლოგიკური პოზიცია ის არის, რომ არც ერთი დუიმით არ დაიხიონ უკან დასავლეთ ბერლინის მიმართ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობის შენარჩუნებისა და განხორციელების საკითხში. ამ უფლებათა შესახებ, ეიზენჰაუერის სიტყვით, არ შეიძლება რაიმე მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

პრეზიდენტმა შემდეგ თქვა, რომ შეერთებული შტატები ყოველთვის მზად იქნებიან აწარმოონ საერთაშორისო მოლაპარაკება, თუ საბჭოთა კავშირი მოგვცემს იმედს, რომ ასეთ მოლაპარაკებას წარმატებითი შედეგი მოჰყვება. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ „სანამ სსრ კავშირის მთავრობას ნეგატიური პოზიცია უკავია“, მასთან მოლაპარაკება ნაკლებ სარგებლობას მოიტანს.

ეიზენჰაუერმა აგრეთვე განაცხადა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი დიდ იმედს ამყარებს მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე და თუ ასეთმა შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო, ამას მოჰყვება მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრიობის პესიმიზმის ზრდა. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ შეერთებული შტატები მთავრობათა მეთაურების ჟენევის 1955 წლის თათბირზე წავიდნენ იმ მოსაზრებით, რომ ასეთი თათბირის ნამდვილი შემოწმება იქნებოდა კონკრეტული მოლაპარაკება, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მოსამზადებელი მუშაობის შეუსრულებლად, რომელიც უზრუნველყოფდა მთავრობათა მეთაურების თათბირის წარმატების იმედს, ასეთი შეხვედრის მოწყობა, ეიზენჰაუერის სიტყვით, დიდი შეცდომა იქნებოდა.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აგრეთვე გააკეთა განცხადება, რომელიც ცხადყოფს, რომ არ მოსწონს ინგლის-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის შესაძლო დადება. ეიზენჰაუერმა თქვა, დალესი და მე ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ქვეყნებმა, რომელნიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად შევიდნენ, ამით უკვე იკისრეს თავდაუსხმელობის ვალდებულებანი. შეერთებული შტატები, ეიზენჰაუერის სიტყვით, მაინცდამაინც წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, რომ დაიდოს ასეთი პაქტი იმ პირობით, რომ არსებობდეს ნდობისა და იმის რწმენის ატმოსფერო, რომ პაქტის ხელის მომწერი მხარეები არ დაარღვევენ თავიანთ ვალდებულებებს. სანამ არ იქნება ასეთი რწმენა, დამყარებული ურთიერთკონტროლზე, ასეთ პაქტს, ეიზენჰაუერის სიტყვით, არ ექნება რაიმე ღირებულება. ეიზენჰაუერის ეს შენიშვნები აქ არსებითად მიაჩნიათ „რჩევად“ მაკმილანისადმი არ მოაწეროს ხელი პაქტს საბჭოთა კავშირთან.

პრესკონფერენციის მსვლელობაში ეიზენჰაუერმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს კითხვაზე, თუ სახელდობრ დასავლეთის რომელი ქვეყნები აპირებენ „დაიცვან თავიანთი უფლებანი“ დასავლეთ ბერლინში. მაგრამ მან თქვა, რომ ნატოს წევრებს აქვთ ამის გეგმა, რომელიც საიდუმლოა და რომ ამერიკის მოკავშირეები სავსებით იზიარებენ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ბერლინის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოთა მტკიცე პოზიცია „აბსოლუტურად საჭიროა“. როცა მას ჰკითხეს ნიშნავს თუ არა ეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთ ბერლინისაკენ მიმავალი დასავლეთის სახელმწიფოთა ბადრაგები შეაჩერეს, გამოყენებულ იქნება ნატოს შესახებ ხელშეკრულების დებულებებიო, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ მას ეს არ ჰქონია მხედველობაში.

უპასუხა რა თხოვნაზე გაეკეთებინა კომენტარი ჟენევის ახლანდელი მოლაპარაკების დროს შეთანხმების დადების პერსპექტივებისათვის, ეიზენჰაუერმა განაცხადა, გულახდილად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამჟამად არა აქვს ამ მოლაპარაკების წარმატების ისეთი იმედი, როგორიც წინათ ჰქონდაო.

ეიზენჰაუერმა ფრიად მწვავე ტონით განაცხადა, რომ მას არ სურს გააკეთოს საომარი განცხადებანი, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ შეერთებული შტატები „მტკიცედ“ იდგებიან თავიანთ პოზიციებზე და შეინარჩუნებენ საერთაშორისო შეთანხმებათაგან გამომდინარე თავიანთ უფლებებს.

უპასუხა რა კითხვაზე, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ მას და მაკმილანს შორის არ არის რაიმე კონკრეტული შეთანხმება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვაშინგტონში შემდგომი ჩამოსვლისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მისი შეხვედრის შესახებ, თუმცა, ეიზენჰაუერის სიტყვით, მაკმილანის მოსკოვს გამგზავრების მომენტში გათვალისწინებული იყო, რომ მაკმილანი შესაძლოა დაბრუნების დროს ეწვიოს დასავლეთის სახელმწიფოთა რამდენიმე დედაქალაქს, მათ შორის ვაშინგტონსაც, რათა გააცნოს თავისი მოლაპარაკება ნ. ს. ხრუშჩოვთან.

## ბრაზილიელი ფეხბურთელები ახალი სეზონის წინ

ახლოვდება ახალი საინტერესო ასპარეზობა — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, რომელიც არგენტინაში გაიმართება მარტში.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ მსოფლიო ჩემპიონები, ოქროს თასის მფლობელები, როგორ გამოდიოდნენ ისინი თავიანთ სტადიონებზე.

ბრაზილიის ნაკრების სამი ფეხბურთელი — ვავა, მაცოლა და ჟოელი ევროპის სხვადასხვა საკლუბო გუნდის შემადგენლობაში შედიან.

გასულ სასპორტო სეზონში იფურჩქნეოდა და მწიფდებოდა 18 წლის პელეს ტალანტი. მისმა კლუბმა „სანტოსმა“ პირველი ადგილი დაიკავა სან-პაულუს შტატის პირველობის გათამაშებაში და ჩემპიონი გახდა. ამ კლუბის ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგეთა კარში 139 ბურთი გაიტანეს, აქედან პელემ — 56! და ამით იგი ბურთების გატანის რეკორდსმენი გახდა.

ამავე კლუბში გამოდის ნახევარმცველი ზიტო, რომლის თამაშში იგრძნობა თვალსაჩინო პროგრესი.

ცენტრალური მცველი ბელინი კარგ სპორტულ ფორმაშია. მოსალოდნელია, რომ მალე იგი სათამაშოდ გადავა ევროპის გუნდებში.

ბელინის თანაკლუბელმა 23 წლის მცველმა ორლანდომ რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატი ჩაატარა უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე.

ნილტონ სანტოსი ბრაზილიაში კვლავ უძლიერეს მარცხენა მცველად ითვლება. მაგრამ ამას წინათ სანტოსმა განაცხადა, რომ იგი ბრაზილიის ნაკრებში აღარ გამოვა — „მე მინდა ამის შესაძლებლობა მივცე ახალგაზრდობას. ჩემი საერთაშორისო კარიერა სტოკჰოლმში დამთავრდა“.

ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი — მარჯვენა გარემარბი გარინჩა დღითიდღე სრულყოფს თამაშის ტექნიკას.

მსოფლიოს ჩემპიონის კაპიტანი დიდი კლუბის მიხედვით გარინჩას კოლეგაა. იგი თამაშის მაღალ ტექნიკაში არ ჩამორჩება თავის ახალგაზრდა პარტნიორს. როგორც მსოფლიოს ნაკრებში, ისე „ბოტაფოგოს“ კლუბში ისინი შეწყობილად, ვირტუოზულად თამაშობენ.

მეკარე ჟილმარი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მატჩში გამოვიდა თავის კლუბ „კორინტიანსში“ (სან-პაულუ). ერთ-ერთი ასეთი მატჩის („კორინტიანსი“ — „სანტოსი“) შემდეგ ჟილმარმა გამოსვლა შეწყვიტა. გარლვევაზე გასულ პელესთან მან დაუშვა უხეში შეცდომა და გაუშვა მეტად იოლი ბურთი. ამის შემდეგ ჟილმარმა ძლივს დააღწია თავი გულშემატკივრებს, მის მიმართ კრიტიკა და გამოხდომები რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ამის შემდეგ მეკარემ შვებულება ითხოვა და კლუბიდან წავიდა გაურკვეველი ვადით. ახლა იგი სან-პაულუს პრეფექტურის განყოფილების უფროსად მუშაობს.

მცველმა ჯალმა სანტოსმა, რომელიც შვეციის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, დიდი ტრავმა მიიღო და საფეხბურთო მოედანზე აღარა ჩანს. მარცხენა გარემარბი ზაგალო ფეხის დაზიანების გამო დიდხანს არ გამოდიოდა, მაგრამ გამოჯანსაღდა და დეკემბრიდან შეუდგა წრთვნას.

### დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (მე-8 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — არაგველები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ტაიფუნი, **გრიბოედოვის სახელობის** — გრიგალი, **სომხური დრამის** — ოტელო (მე-7 და მე-9 აბონემენტი), **რკინიგზელთა სახლი** — ნანატრი საქმრო, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სიხარულის ძიებაში (45-ე აბონ., 4 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი**—საათი ჩერდება შუაღამისას, **ამირანი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **სპარტაკი, კოლხიდა** — წყნარ ნავსადგურთან, **თბილისი, კომკავშირელი, ყაზბეგი** — მექსიკის ცის ქვეშ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი**—კაზიმირი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი**—საქმრო საიქიოდან, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი)—ორი ოჯახი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო)—ჯარისკაცები მიდიოდნენ, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — აღმოსავლეთის ექსპრესი, **კომუნარების ბაღი** — პეტერი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომგზავნის — 3-81-65.

უე 01163 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3